მესხეთის უნივერსიტეტი

№ 2-3 (259) თებერვალი-მარტი, 2019 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

მივმართავთ აბიტურიენტებს, რომლებიც დგანან პროფესიისა და უნივერსიტეტის არჩევანის წინაშე

პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი, სწავლების სათანადო ხარისხი, არჩევანის თავისუფლება, მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, უცხოეთში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, საინტერესო სტუდენტური ცხოვრება, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისთვის შექმნილი სასწავლო გარემო დახვდებათ აბიტურიენტებს, რომლებიც აირჩევენ განათლების მისაღებად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის მთავარი უპირატესობა მისი ორ გეოგრაფიულ ადგილზე მდებარეობაა. პირველი და მეორე კორპუსი ფუნქციონირებს ახალციხეში, ხოლო მესამე კორპუსი – ახალქალაქში. მესამე კორპუსთან სტუდენტებს თანამედროვე სტანდარტების სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ელოდება.

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი ოთხ ფაკულტეტზე მიმდინარეობს. ოთხივე ფაკულტეტზე პროგრამების უმრავლესობაზე სტუდენტებს სწავლა სახელმწიფო დაფინანსებით შეუძლიათ. საგანმანათლებლო პროგრამები გამოირჩევა, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებით, რაც ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსს. პროგრამები უახლესი სტანდარტების მიხედვით აკრედიტებულია. სწავლების მაღალი ხარისხი კი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით მიიღწევა.

აბიტურიენტებს, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აირჩევენ, ექნებათ მაღალი აკადემიური მოსწრება, დაენიშნებათ სტიპენდიები. წარმატებული სტუდენტები მიიღებენ სახელმწიფო, საუნივერსიტეტო, მერიისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ დანიშნულ სტიპენდიებს. გამორჩეული სტუდენტისთვის არსებობს სახელობითი სტიპენდია. ყოველ სემესტრში ერთი სტუდენტი ხდება გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიის მფლობელი.

უნივერსიტეტის სერიოზული უპირატესობაა ის, რომ ახორციელებს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს – საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო. უმაღლესი განათლების გვერდით ფუნქციონირებს პროფესიული საფეხურის პროგრამები.

მივმართავთ აბიტურიენტებს, რომლებიც დგანან პროფესიისა და უნივერსიტეტის არჩევანის წინაშე: დაიწყეთ 2019-2020 სასწავლო წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისარგებლეთ შესაძლებლობით, ისწავლოთ სახელმწიფოს დაფინანსებით, გაზარდეთ თქვენი დასაქმების შანსი და სწორად დაგეგმეთ მომავალი. გახდით წარმატებული მოქალაქე და ხელი შეუწყეთ საქართველოს, სამცხე-ჯავახეთის გაძლიერებას!

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ყოფნის კერა სამხრეთ საქართველოში

✓014
იქ სადაც გელიან!

გამოცხადებული ვაკანტური ადგილებიდან სახელმწიფოს მიერ ფინანსდება – 320. დაფინანსებულ პროგრამებზე ადგილები გადანაწილდება ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებისა და უნივერსიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთმა საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო

- აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულმა საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამამ ოთხწლიანი აკრედიტაცია მოიპოვა!
- აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა შვიდწლიანი აკრედიტაცია მოიპოვა!
- აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამამ შვიდწლიანი აკრედიტაცია მოიპოვა!
- აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ შვიდწლიანი აკრედიტაცია მოიპოვა!

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

0140101 ისტორია (ახალციხე)
0140102 ისტორია (ახალქალაქი)
0140103 დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ახალციხე)
0140104 ქართული ფილოლოგია (ახალციხე)
0140105 ქართული ფილოლოგია (ახალქალაქი)
0140106 ინგლისური ფილოლოგია (ახალციხე)
0140107 ინგლისური ფილოლოგია (ახალქალაქი)

იურიდიული ფაკულტეტი

0140108 სამართალი (ახალციხე)
0140109 სამართალი (ახალქალაქი)
0140110 საჯარო მმართველობა (ახალციხე)
0140111 საჯარო მმართველობა (ახალქალაქი)

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

0140112 ბიზნესის ადმინისტრირება (ახალციხე)
0140113 ეკონომიკა (ახალციხე)
0140114 ეკონომიკა (ახალქალაქი)

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

0140115 ინფორმაციული ტექნოლოგიები (ახალციხე)
0140116 მათემატიკა (ახალციხე)
0140117 ეკოლოგია (ახალციხე)
0140118 აგრონომია (ახალციხე)
0140119 აგრონომია (ახალქალაქი)

0140201 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის (ახალციხე)
0140202 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის (ახალციხე)
0140203 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აფხაზურენოვანთათვის (ახალციხე)
0140204 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ოსურენოვანთათვის (ახალციხე)
0140205 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის (ახალქალაქი)
0140206 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის (ახალქალაქი)
0140207 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აფხაზურენოვანთათვის (ახალქალაქი)
0140208 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ოსურენოვანთათვის (ახალქალაქი)

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019-2020 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ მიმართულებებზე

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ისტორია (ახალციხე)
- ისტორია (ახალქალაქი)
- ქართული ფილოლოგია (ახალციხე)
- ქართული ფილოლოგია (ახალქალაქი)
- ინგლისური ფილოლოგია (ახალციხე)
- თურქული ფილოლოგია (ახალციხე)
- დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ახალციხე)

სახელმწიფო დაფინანსებით

იურიდიული ფაკულტეტი

- საჯარო მმართველობა (ახალციხე)
- საჯარო მმართველობა (ახალქალაქი)

სახელმწიფო დაფინანსებით

- სამართალი (ახალციხე)
- სამართალი (ახალქალაქი)

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

- ეკონომიკა (ახალციხე)
- ეკონომიკა (ახალქალაქი)

სახელმწიფო დაფინანსებით

- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი) (ახალციხე)

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ახალციხე)
- მათემატიკა (ახალციხე)
- ეკოლოგია (ახალციხე)
- აგრონომია (ახალციხე)
- აგრონომია (ახალქალაქი)

სახელმწიფო დაფინანსებით

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ახალციხესა და ახალქალაქში

- აზერბაიჯანულენოვანთათვის
- სომხურენოვანთათვის
- აფხაზურენოვანთათვის
- ოსურენოვანთათვის

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დამატებითი პროგრამები

- მასწავლებლის მომზადების პროგრამა
- ინგლისური ფილოლოგია
- თურქული ფილოლოგია
- ეკოლოგია
- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- მათემატიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- აგრონომია

სამაგისტრო პროგრამები

- ქართველური ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურის ისტორია
- საქართველოს ისტორია
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ასტრონომია
- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ბიზნეს-ინფორმატიკა
- აგროტექნოლოგია
- სისხლის სამართალი

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

სადოქტორო პროგრამები

- ასტრონომია
- ეკონომიკა
- ინფორმატიკა
- აგრონომია

სწავლის ღირებულება 500 ლარი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ მოდულებს

- ისტორია
- ეთნოლოგია
- ქართული ფილოლოგია

პროფესიული პროგრამები

- ფარმაცევტის თანაშემწის მოდულური პროგრამა
- ბუღალტრის მოდულური პროგრამა
- ვებ-ინტერფეისის დიზაინერის მოდულური პროგრამა
- მასაჟისტ-რეაბილიტატორის მოდულური პროგრამა
- პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამა
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროგრამა

განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროგრამა

საგამოცდო ცენტრი – გამოცდების ჩატარების ელექტრონული პროგრამით

უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მომავალმა თაობამ მიიღოს მაღალკვალიფიციური განათლება და გახდეს კონკურენტუნარიანი კადრი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

- პროფესორი – 18
- ასოცირებული პროფესორი – 44
- ასისტენტ-პროფესორი – 2
- მოწვეული მასწავლებელი – 85

სტუდენტებისთვის შექმნილია სწავლის, კვლევისა და განვითარებისათვის მიმზიდველი გარემო

სასწავლო პროცესის დაგეგმვა

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება ECTS-ის (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) მეშვეობით

სწავლება ხორციელდება სემესტრულად

სემესტრის მოცულობა – 30 კრედიტი (პროგრამული)

უნივერსიტეტის სამივე სასწავლო კორპუსი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული კაბინეტ-ლაბორატორიებით

რაც ხელს უწყობს

მომავალი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას

სტუდენტთა დასაქმებას

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კაბინეტები

- ქართული ენის
- ქართული ლიტერატურის ისტორიის
- ინგლისური ენისა და ლიტერატურის
- ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG)
- ამერიკანისტიკის
- თურქული ენისა და ლიტერატურის
- გერმანული ენისა და ლიტერატურის
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი
- პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზი
- პროფესორ ოთარ ღამბაშიძის სახელობის არქეოლოგიის კაბინეტი
- პროფესორ ვალერი სილოგავას სახელობის საქართველოს ისტორიის კაბინეტი
- პროფესორ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორია

● 2018 წლის აპრილში და მაისში ჩატარდა სტუდენტთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები;
● 14 მარტს ჩატარდა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია: „მოსწავლის თვალით დანახული აგრარული პრობლემები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 2018“;
● ივნისში ჩატარდა სკოლის მოსწავლეთა რეგიონული ოლიმპიადა მათემატიკაში პროფესორ რევაზ ჭიღლაძის ხელმძღვანელობით.

● „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2018“ კვირეულისათვის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი ორი ღონისძიება გათვალისწინებულ იქნა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შედგენილ პროგრამაში:
ა) რესპუბლიკური სამეცნიერო ონომასტიკური კონფერენცია (22-23 სექტემბერი);
ბ) ღია კარის დღე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (25 სექტემბერი, ახალციხე, ახალქალაქი).



P.S. ონომასტიკური კონფერენცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციადაა ქცეული, მაგრამ 2018 წლის კონფერენცია განსხვავებული იყო თავისი თემატურობით. კონფერენციის თემას წარმოადგენდა: „სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა“.

საერთაშორისო ურთიერთობები

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, თურქეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, ესტონეთისა და სხვა ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან, მათ შორის:

- მანჩესტერის უნივერსიტეტი (ინგლისი)
- ორგანიზაცია „ლოგო“ (გერმანია)
- კრაკოვის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლოძის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ვარშავის პედაგოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- რუზომბერკის კათოლიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
- ალექსანდრე იოან კუზას უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- მანასის ყირგიზულ-თურქული უნივერსიტეტი (ყირგიზეთი)
- კავკასიის უნივერსიტეტთა ასოციაცია
- კავკასიის (ყარსის) უნივერსიტეტი (თურქეთი)
- არტაანის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ართვინის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ათათურქის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ნახიჭევანის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
- ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)

საერთაშორისო პროექტები

უნივერსიტეტში ხორციელდება 4 ინსტიტუციური განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის ათეულობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

- CURE → Erasmus+ / Cure
- ASSAT → ASSET
- CTEL → CTEL CIVIC AND TECH THROUGH ENGLISH LANGUAGE
- INTEGRITY → INTEGRITY

გაცვლითი პროექტები

- Erasmus +
- Credit Mobility (პირდაპირი მობილობა)
- მევლანა

ზამთრის, ზაფხულის და შემოდგომის სკოლები, საერთაშორისო პროექტები და სემინარები

სამეცნიერო ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია EBSCOHost-ის (სამეცნიერო ჟურნალების სრულტექსტიან მონაცემთა ბაზა) ელექტრონული რესურსების სისტემაში; ხელმისაწვდომია, აგრეთვე, ელექტრონული კატალოგი Openbiblio

უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამომცემლობაში იბეჭდება საავტორო წიგნები, გრიფირებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, სამეცნიერო შრომები, სარეკლამო ბროშურები და სხვა ბეჭდური პროდუქცია

უნივერსიტეტის სტამბა ემსახურება არა მარტო სასწავლებელს, არამედ მთელ რეგიონს

სპორტი

კულტურა

სამომავლო გეგმები

გადავაქციოთ ახალციხე და ახალქალაქი საუნივერსიტეტო ქალაქებად!

ყველა კურსდამთავრებული იყოს მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი კადრი!

აქტიური სტუდენტური ხანა

- წარმატებები საერთაშორისო ფესტივალებსა და სპორტულ შეჯიბრებებში
- შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატები
- სემინარების, დისკუსიებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობა

მოგრძანდით!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენ გელით

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაკალავრო პროგრამები: ქართული ფილოლოგია, ისტორია, ინგლისური ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ეკონომიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეკოლოგია, მათემატიკა, აგრონომია, საჯარო მმართველობა.
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც სწავლების ხარისხის გარანტიაა.
- გაცვლითი პროგრამები უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში.
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- საინტერესო და შინაარსიანი სტუდენტური ცხოვრება ახალციხესა და ახალქალაქში.

contaqt@sjuni.edu.ge
www.sjuni.edu.ge

დაგვიკავშირე მიმავალი ჩვენ და გახდი საუკეთესოთა შორის საუკეთესო!

პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე – საერთო ზეიმი

12 მარტს ქართულ პარლამენტარიზმს ასი წელი შეუსრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომიდან საუკუნის შემდეგ, ქვეყანაში პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე იზეიმეს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პარლამენტარიზმის კვირეულს რამდენიმე ღონისძიებით შეუერთდა. დაგეგმილ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე. ქართული პარლამენტარიზმის იუბილეს ფარგლებში ჩატარებული პირველი ღონისძიება პროფესორ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორიაში გაიმართა. ეს ღონისძიება გახლდათ სამეცნიერო ფორუმი – **„ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან“**. ფორუმი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ. **„სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოხატავს სოლიდარობას ქვეყანაში ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებებით. საქართველოს ყველა უნივერსიტეტი, სამეცნიერო თუ საზოგადო, საჯარო თუ კერძო სექტორი უერთდება ამ ღონისძიებას იმდენად, რამდენადაც ეს არის ღონისძიება, რომელიც მხოლოდ კონკრეტული პროფილის დაწესებულებას არ ეხება. ჩვენ ასწლოვანი პარლამენტარიზმის ისტორია გვაქვს და საწყისები პარლამენტარიზმის ჩვენი ისტორიის შორეულ ფესვებში შეიძლება ვეძებოთ. გილოცავთ ყველას ამ დღეს“.** – აღნიშნა რექტორმა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე მიულოცა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ: **„დღეს ძალიან ამაყი და ძლიერი ვარ იმიტომ, რომ ქართული პარლამენტარიზმის 100 წლისთავს ზეიმობს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი უნივერსიტეტი. ეს არის დემოკრატიის უპირველესი ნიშანი. თანამედროვე დემოკრატია, მხოლოდ და მხოლოდ, საპარლამენტო სისტემებზე არის აგებული. მინდა, მოგილოცოთ საიუბილეო კვირეულის დაწყება. მინდა, მივულოცო ასევე ჩვენს სტუდენტს ანა არუთუნიანს ქართული პარლამენტარიზმის დღეების ფარგლებში გამართულ ესეების კონკურსში გამარჯვება. ის ერთ-ერთია იმ შვიდ სტუდენტს შორის, რომელმაც საქართველოს მასშტაბით გამარჯვება მოიპოვა და მას, პირადად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გადასცა ჯილდო“.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გულიკო ბექაური: **„მიხარია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი უერთდება საერთო განწყობას ჩვენი ქვეყნის. პირველი საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ამ საერთო ზეიმში ჩვენი წვლილი შეგვაქვს სხვადასხვა ღონისძიებებით. ჩვენ უნდა ვიამაყოთ ჩვენი წარსულით, რომელიც სერიოზული საფუძველი იქნება იმისა, რომ შევაფასოთ დღევანდელობა და დავგეგმოთ, ხვალ როგორ შეიძლება უკეთეს ქვეყანაში ვიცხოვროთ“.**

საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ფორუმზე მოხსენებებით წარსდგნენ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები. მოხსენება – **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ეროვნული საკითხი“** პროფესორმა უჩა ბლუაშვილმა წარადგინა. თემაზე – **„საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის ანკარის საელჩოს საქმიანობის ასახვა თურქული პრესის ფურცლებზე (07.02. - 31.03.1921)“** დამსწრე საზოგადოებას პროფესორი როინ ყავრელიშვილი ესაუბრა, ხოლო **„საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები“**, ისტორიის დოქტორმა ედიშერ ნარიმანიძემ წარმოადგინა.

პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 13 მარტს გაგრძელდა. სააქტო დარბაზში გაიმართა ლიტერატურული ღონისძიება „ჩვენი სამშობლო“, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ 1+4 პროგრამის სტუდენტები. ღონისძიების ორგანიზატორი კულტურისა და სპორტის სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა გახლდათ. ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ გახსნა: **„მეამაყება, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად და ძალიან ორგანულად იღებს მონაწილეობას ამ ღონისძიებაში. ამ თანამონაწილეობით ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ მემკვიდრეები იმ წარსულის, იმ პარლამენტარიზმის განსაკუთრებული ტრადიციების, რომელსაც ასწლოვანი ისტორია აქვს. მეამაყება, რომ დღევანდელი ღონისძიებით საერთო ზეიმს ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდები უერთდებიან. თქვენ მნიშვნელოვანი ძალა ხართ ერისთვის, ქვეყნისთვის და სახელმწიფოსთვის. ჩვენმა უნივერსიტეტმა ამ ღონისძიებებით ლამაზი ფურცელი დაწერა პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ისტორიაში“.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე. **„მინდა ჩავუღრმავდეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს, 1918 წლის პირველ პარლამენტს და მათ საქმიანობას. მაშინდელი საქართველო სოჭში იბრძოდა, არტაანში იბრძოდა, ყარსში იბრძოდა. ასეთი იყო პირველი რესპუბლიკა, რომელიც ევროპაში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის მიმღები და გამტარებელი იყო 1918-21 წლებში. რაც გვაქვს, იმას უნდა მოვუფრთხილდეთ. ამ ყველაფრის გამგრძელებელი ქართველი ახალგაზრდები უნდა იყვნენ“.**

პატრიოტულ მოტივზე წარმოდგენილი ღონისძიების შთაბეჭდილება დიდხანს გაყვებოდა მნახველს. ახალგაზრდებმა სცენაზე გააცოცხლეს 1918-21 წლების ისტორია და დამსწრე საზოგადოება იმ ავბედით წლებში ამოგზაურეს.

პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმო განყწყობით დასრულდა. 14 მარტს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მაყურებლის წინაშე ანსამბლი „ვარძია“ და უნივერსიტეტის სტუდენტი ანა კაცაძე წარსდგნენ. ღონისძიებას პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გარდა, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ. მათ უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე მიესალმა. **„ამ კვირეულმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ფიქრი ქართულ პარლამენტარიზმზე, ფიქრი ჩვენი ქვეყნის მომავალზე უნდა გავაგრძელოთ. ჩვენ 100 წლის იუბილეს აღნიშვნით ევროპული ღირებულებების თანაზიარობას და ქართული ღირებულებების მოფრთხილების იდეას ვუერთდებით. ის, რომ დღეს ჩვენ საჭიროდ ვთვლით პარლამენტარიზის 100 წლის იუბილე ვიზეიმოთ და თანაზიარობას ვგრძნობთ იმ პარლამენტთან, იმ მოღვაწეებთან, ეს იმიტომ, რომ მათ სწორი და ღირებული მმართველობა აირჩიეს“.** – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და მოკლედ მიმოიხილა ქართული პარლამენტარიზმის ჩამოყალიბების ისტორია.

„მოგესალმებით. გილოცავთ პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილეს. 100 წლის წინანდელი პარლამენტი იბრძოდა სოჭის, ყარსის, არტაანის მიდამოებში. დღევანდელი პარლამენტი თბილისის შემოგარენში იცავს თავის ქვეყანას. ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გვაქვს. მაშინდელმა პარლამენტმა დაგვიტოვა იდეა, რომ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ“. – ბრძანა პროფესორმა მერაბ ბერიძემ.

ბატონმა მერაბმა მადლობა გადაუხადა ანსამბლ „ვარძიის“ პროდიუსერს, ბიზნესმენ ალექსანდრე ღორჯომელაძეს უნივერსიტეტში მობრძანებისთვის. ასევე, მადლობა მოახსენა ჟურნალ „არავის“ 22-ე ნომრის დაფინანსებისათვის და მადლობის სიგელი გადასცა. ანსამბლი „ვარძია“ მსმენელის წინაშე ეროვნულ მოტივებზე შექმნილი რეპერტუარით წარსდგა. ღონისძიება გაალამაზა ანა კაცაძის მიერ შესრულებულმა სიმღერებმაც. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული პარლამენტარიზმისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ასეთი ამაღლებული განწყობით დასრულდა.

ლიკა ზაზაშვილი

იმსჯელეს აუდიტის დასკვნებზე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 27 თებერვალს, უმაღლესი განათლების რეფორმის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების განხილვა გაიმართა. მოგეხსენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური დეტალურად შეისწავლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წელსაც გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი დასკვნები. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით უნდა განიხილოს. ამ მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრებს, ასევე, უნივერსიტეტის პროფესორებს შეხვდა და აღნიშნული რეკომენდაციები გააცნო.

რექტორთა საბჭოზე ამ საკითხზე არაერთხელ იყო საუბარი. შევთანხმდით, რომ თითოეულმა უნივერსიტეტმა დამოუკიდებლად განიხილოს აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები. თუ ჩავთვლით, რომ ეს რეკომენდაციები მისაღებია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, როგორ განვახორციელოთ. თუ ჩავთვლით, რომ არ არის მისაღები, უნდა დავასაბუთოთ – რატომ და მივაწდოთ სამინისტროს ჩვენი მოსაზრებები. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

რექტორის განმარტებით, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აუდიტის სამსახურმა გაითხოვა სრული ინფორმაცია პროგრამების, პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მათი მაჩვენებლების, იგულისხმება – აკადემიური მოსწრება, მობილობის, გამოცხადებული ადგილებისა და მათი ათვისების, დაფინანსებული ადგილებისა და სხვათა შესახებ. სახელმწიფო აუდიტმა შეისწავლა შრომის ბაზარი, შეისწავლა სხვადასხვა სამინისტროს დოკუმენტაცია, რომელიც იყო ამ ყველაფერთან დაკავშირებული. შეისწავლა დასაქმების მაჩვენებლები და, აქედან გამომდინარე, გამოაქვეყნა რეკომენდაციები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თითოეული რეკომენდაცია შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული. დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები. გაიმართა მსჯელობა. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს დაებადათ არაერთი კითხვა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდგომ, ჩამოყალიბდა ერთიანი მოსაზრებები, რომლებიც გადაეგზავნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

ჩვენი კორესპონდენტი

დოქტორანტები სამეცნიერო „გულანის“ სხდომაზე

სამეცნიერო „გულანის“ სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე, 22 თებერვალს, წარსდგნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტები **ამირან კურტანიძე** და **თამაზ ლაცაბიძე**. ბატონმა ამირანმა წარადგინა მოხსენება თემაზე **„ისნის კარვის იდეა – მსოფლიო კონსტიტუციალიზმისა და პარლამენტარიზმის ჩანასახი“**, ხოლო ბატონმა თამაზმა ისაუბრა თემაზე **„იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი – ქართლის ჩხეიძეთა საძვალე (ზოგიერთი თარიღის დადგენის ცდა)“.**

სხდომა გახსნა სამეცნიერო „გულანის“ ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.** მან რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანია, უფრო ახლოს გაეცნონ დოქტორანტებს და მოისმინონ მათი სადოქტორო თემების ის ნაწილი, რაზედაც მათ უკვე აქვთ ნამუშევარი.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, სპეციალური სესია ჩაგვეტარებინა დოქტორანტებისთვის. ამას არანაირი კანონმდებლობა არ გვავალდებულებდა, ეს ჩვენი კეთილი ნება იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს სესია არ შედგა. იმისათვის, რომ დავხმარებოდით დოქტორანტებს, მივიღეთ გადაწყვეტილება, მათ „გულანის“ სხდომებზე მოვუსმინოთ. მინდა ვთქვა, რომ ეს იდეა უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს ეკუთვნის. სადისერტაციო თემების დაცვამდე აუცილებელია, თითოეულ დოქტორანტს მოვუსმინოთ. – აღნიშნა მერაბ ბერიძემ და დოქტორანტების მიმართ შემდეგ მოთხოვნებზე გაამახვილა ყურადღება. – **იმ შემთხვევაში თუ არის სიახლე ნაკვლევ მასალაში, ჩვენ დავბეჭდავთ „გულანში“ ამ თემას და ეს დოქტორანტებს წაადგებათ. ამასთან, გვინდა, თემა იყოს წარმოდგენილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. დღევანდელი გამოსვლის შემდეგ, შეიძლება გადაწყდეს დოქტორანტების ჩართვა იმ ფორუმში, რომელსაც ატარებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პარლამენტარიზმის კვირეულის ფარგლებში.**

სხდომის მონაწილეთა წინაშე დოქტორანტი ამირან კურტანიძე წარსდგა პირველი. მან სადოქტორო თემის სტრუქტურაზე მოახსენა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა სადისერტაციო თემის ძირითადი ნაწილი, რომელიც ეხებოდა ისნის კარის იდეას და სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას მე-12 საუკუნეში. დოქტორანტს არაერთი კითხვა დაუსვეს. გაიმართა საინტერესო დისკუსია. გაიჟღერა რამდენიმე რეკომენდაციამ. **თუ აღნიშნულ მოხსენებას ჩამოაყალიბებთ 15 წუთიანი თემის სახით, თავისი შესავლით, აბსტრაქტით, ძირითადი ნაწილით და ასე შემდეგ, თემის აგების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, შეგეძლებათ თემა წარმოადგინოთ ზემოთ ხსენებულ ფორუმზე. აუცილებლად უნდა იყოს გამოკვეთილი მეცნიერული სიახლე. მე ვფიქრობ, რომ დღეს ბატონი ამირანის გამოსვლა იყო მნიშვნელოვანი, რადგან აქ გაჟღერებული რეკომენდაციები წაადგება თემაზე მუშაობის დროს.** – აღნიშნა ბატონმა მერაბმა.

საინტერესო კვლევა წარმოადგინა დოქტორანტმა თამაზ ლაცაბიძემ თემით „იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი – ქართლის ჩხეიძეთა საძვალე (ზოგიერთი თარიღის დადგენის ცდა)“. დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია იტრიის ღვთისმშობლის მონასტრის აშენების თარიღმა, რის ირგვლივაც გაიმართა მსჯელობა. დოქტორანტმა, ასევე, ვრცლად ისაუბრა თუ ვის მიერ იქნა ტაძარი აშენებული. აქვე განიხილა სხვა საინტერესო საკითხები. დოქტორანტს დაუსვეს არაერთი კითხვა. სამეცნიერო „გულანის“ ხელმძღვანელმა ბატონ თამაზს კრებულ „გულანში“ შესთავაზა თემის დაბეჭდვა.

სხდომა შეაჯამა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ: **ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ფორმა იმიტომ, რომ აღარა გვაქვს შეფასება გარკვეული სემესტრის მიხედვით. თხოვნა გვაქვს, რომ დოქტორანტებმა ანგარიშები მოგვაწოდონ თემაზე მუშაობასთან დაკავშირებით, თუნდაც, დღევანდელი შეხვედრის შესახებაც და ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი. ამას ჩვენ არ ვაკეთებთ ავტორიზაციისთვის, ან აკრედიტაციისთვის. ამას ვაკეთებთ იმიტომ, რომ არსებობდეს დახმარების მდგრადი მექანიზმი დისერტაციის წერის დროს. თუ ჩვენ დოქტორანტები მოგვყვებიან, ყოველ ხუთშაბათს ექნებათ საშუალება, რომ მიიღონ მონაწილეობა „გულანის“ სხდომებზე.** – აღნიშნა რექტორმა.

შეხვედრა გმირების გახსენებისა და ხსოვნისთვის

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, 5 მარტს, გაიმართა ქართველი იუნკერების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო სახელწოდებით – **„საქართველოს წითელი ისტორია“.** უნივერსიტეტის მკითხველთა კლუბის წევრებმა – თამარ კაპანაძემ, მარი დავლაშერიძემ, თეა ექსეულიძემ და მარიამ ვედიაკოვმა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს იუნკერთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია წარუდგინეს. ღონისძიება გახსნა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ: **დღეს ვიხსენებთ ადამიანებს, რომლებმაც თავი დადეს სამშობლოს დასაცავად. ისევე, როგორც დედამიწა, ისტორიაც ბრუნვადია. ვინც შეიძლება ყოფილიყო მტრად შერაცხული, დღეს გმირები ხდებიან და შეიძლება მოხდეს პირიქითაც. სამწუხაროა, რომ ამის გამო, თაობების მანძილზე, აკლდათ ასეთ გმირებს ის პატივი, რაც ერგებოდათ. ინსტიტუტდამთავრებული ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ საბჭოთა არმიამ კი არ გაათავისუფლა, არამედ ოკუპაცია მოახდინა საქართველოსი. ახალგაზრდებს გაქვთ შესაძლებლობა, იცოდეთ ამ მონაკვეთის ნამდვილი ისტორია. გამიხარდა, რომ მკითხველთა წრის ერთმა ჯგუფმა მოინდომა ამ საკითხზე გაემახვილებინა ყურადღება.** – აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

მკითხველთა კლუბის წევრებმა იუნკერთა ცხოვრებიდან საინტერესო ეპიზოდები წარმოადგინეს. ღონისძიების დასასრულს პროფესორებმა – ნიკოლოზ ახალკაცმა, როინ ყავრელიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორებმა – მაია ქუქჩიშვილმა და ვახტანგ ინაურმა შეაჯამეს ღონისძიება. ღონისძიებას ესწრებოდა სტუდენტი **თამარ გუგუნავა,** რომლის დიდი პაპა – დავით გუგუნავა ირიცხებოდა იუნკერთა რიგებში. თამარმა დიდ პაპაზე შემდეგი გაიხსენა: **15 შეფიცული გვარდიელიდან 14 გარდაიცვალა ბრძოლის ველზე. ჩემი დიდი პაპა გადარჩა, მოწყალების დებმა გაიყვანეს. მან ცალი ფეხი დაკარგა. ამის შემდეგ ხშირი იყო გადასახლება, რეპრესიები. მას მარტივი ცხოვრება არ ჰქონია.**

იუნკერთა გახსენებისთვის მადლობა მოახსენა ახალგაზრდებს პროფესორმა ნიკოლოზ ახალკაცმა: **ქვეყანა, რომელიც თავისი გმირების სახელს არ დაივიწყებს, დაღუპვა არ უწერია. საქართველოში არ ყოფილა ერთი საუკუნეც კი, ომი რომ არ გადაეტანა. ამიტომ, ეს დღევანდელი გახსენება არის პათოსი იმ შემართებისა, რომელიც ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა.**

ბატონმა ვახტანგ ინაურმა დამსწრე საზოგადოებას კოლაუ ნადირაძის ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“ წაუკითხა. მან აღნიშნა, რომ ამ ლექსის დაწერის ისტორია ქვეყნის დაცემასთან არის დაკავშირებული და რომ ამ დროს ქართველ მწერლობას თავისებური პოზიცია ჰქონდა. მწერალთა შორის ჩამოყალიბდა განსხვავებული პოზიცია. ზოგმა პროტესტი იარაღით, ზოგმა კალმით გამოხატა. პროფესორი დამსწრე საზოგადოებას იუნკერთა გახსენების შემდეგ მარო მაყაშვილისა და სხვა საზოგადო მოღვაწეების შესახებაც ესაუბრა.

პროფესორმა როინ ყავრელიშვილმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია არ იყო შესწავლილი. საბჭოთა პერიოდში როგორც წყაროები, ისტორიოგრაფია იყო ტაბუდადებული. მხოლოდ მეცნიერთა გარკვეულმა ნაწილმა შეისწავლა ეს პერიოდი; გარკვეული ნაწილი საბჭოთა ისტორიოგრაფიას კრიტიკულად უყურებდა და ამ რესპუბლიკის არსებობას გაუმართლებლად თვლიდა. დღეს არის საშუალება, რომ მივწვდეთ წყაროებსა და ლიტერატურას როგორც ქართულ, ასევე, სხვადასხვა ენებზე. **იმ პერიოდის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია იუნკერთა გმირობა. ჩვენი რესპუბლიკის ისტორიის შესწავლა არა მხოლოდ ბოლშევიკურ რუსეთთან მიმართებაში, არამედ თურქებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან მიმართებაში უნდა შევისწავლოთ, რათა დავინახოთ ქართველ სამხედრო ძალას რამხელა რამ შეეძლო. ეს იყო იმ დროისათვის ერთ-ერთი წარმატებული და გამართული სამხედრო სისტემა, რომელსაც შეეძლო როგორც გარე, ასევე, შიდა პრობლემები მოეგვარებინა.** – აღნიშნა ბატონმა როინმა.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ლალის აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისთვის, ასევე, სტუდენტებს, რომლებმაც ასე შესანიშნავად წარმოგვიდგინეს 1921 წლის თებერვლის იტორია. „თოვდა და თბილისს ეხურა თალხი“... ამ ფრაზით ყველაფერია ნათქვამი. მე მინდა, რომ საქართველოს არასოდეს ეხუროს თალხი და არასოდეს შეიმოსოს ძაძებით ქართველი დედა. – აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა მაია ქუქჩიშვილმა.

აღვნიშნავთ, რომ ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ლიკა ზაზაშვილი

ინფორმაცია

7 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გაიმართა შეხვედრა ERASMUS+ CURE (კურიკულუმის რეფორმა საქართველოს და ისრაელის უმაღლეს სასწავლებლებში სამოქალაქო განათლების და დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებისა და მასწავლებელთა დატრენინგების მიზნით; კოორდინატორი გორდონის უნივერსიტეტი, განათლების უმაღლესი კოლეჯი – ისრაელი-GACE-IL).

შეხვედრის მიზანი იყო უნივერსიტეტის სამი თანამშრომლის, ასოცირებული პროფესორების – ლელა წითაშვილისა და დიანა მიქელაძის, მასწავლებლის – თამარ კაპანაძის მიერ სპეცმობილობის (SMS) ანგარიშის წარმოდგენა და გაცნობა აკადემიური პერსონალისთვის, კერძოდ, 3-10 თებერვალს, ავსტრიაში, ზალსბურგის უნივერსიტეტში ჩატარებულ ვორკშოპზე მიღებული გამოცდილების გაზიარება სწავლების ახალ მეთოდზე- (VaKE): ღირებულებებსა და ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება – Values and Knowledge Education.

შეხვედრაზე პროექტის მენეჯერმა, პროფესორმა თინა გელაშვილმა ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარებისთვის. აღნიშნა, რომ პროექტში ჩართულია უნივერსიტეტის 4 აკადემიური პერსონალი, მომზადდა 4 ინოვაციური კურსი, რომლის პილოტირებაც მიმდინარე სემესტრშია დაგეგმილი, შეძენილია 86 ათასი ლარის ტექნიკა, მობილური ლაბორატორია სოფტით და 26 აიპადით, კომპიუტერები, პრინტერები, iPads, გასაშლელი ეკრანები, სმარტ-ბორდები და სხვა. ასევე, ჩამოყალიბდა სტუდენტთათვის სამოქალაქო განათლების ჩართულობის ცენტრი; პროექტის ფარგლებში სპეცმობილობები განხორციელდა ავსტრიაში ლინცისა და ზალსბურგის, პოლონეთში – კრაკოვის, დიდ ბრიტანეთში – კენტერბერის, ესტონეთში – ტალინის უნივერსიტეტებში, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის 12-მა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება სწავლისა და სწავლების ახალ, ინოვაციურ მეთოდებზე, რომლებიც ინერგება უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

ევროპული განათლებისა და ღირებულებებისკენ მიმავალი გზა...

საერთაშორისო პროექტები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

შუალედური ანგარიში ERASMUS+ (CBHEI)

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2012 წლიდან ჩართულია და აქტიურად ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს. 2012-2016 წლებში, EU-TEMPUS -ის ფარგლებში, განხორციელდა 4 საგრანტო პროექტი, რომელიც ძირითადად კურიკულუმის მოდერნიზაციასთან იყო დაკავშირებული და ითვალისწინებდა ახალი სასწავლო კურსების მომზადებას, სხვადასხვა სახის სტუდენტური და აკადემიური სტაფისთვის სერვისების ჩამოყალიბებას, უნივერსიტეტის შიგნით სტაფის გადამზადებას, ასევე, სკოლის მასწავლებელთა (In service teacher) დატრენინგებას, სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სხვა.

2016 წლიდან დღემდე უნივერსიტეტი ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ (CBHE=-ERASMUS+), ინსტიტუციური თანამშრომლობისა და განვითარების სამ საგრანტო პროექტს, საქართველოს, ევროკავშირისა და ისრაელის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად.

EU -CURE (2016-2020)

„კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლების და დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელისა და საქართველოს უსდ-ში“.

პროექტის კოორდინატორი გახლავთ გორდონის (ისრაელი) განათლების აკადემიური კოლეჯი (CACE); პარტნიორი უნივერსიტეტები – **საქართველოდან:** ილიაუნი, თსუ, სჯსუ, ბათუმის, ქუთაისის უნივერსიტეტები და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI); **ისრაელიდან:** გორდონის, სახნინის, ჯივატ ვაშინგტონის, საფირის, დ. ილანის განათლების აკადემიური კოლეჯები, ხოლო **ევროპიდან:** კენტერბერის (დიდი ბრიტანეთი), ზალცბურგის, ლინცის (ავსტრია), ტალინის (ესტონეთი), კრაკოვის უნივერსიტეტები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროექტში (CURE) ჩართულია ხუთი აკადემიური პერსონალი და 2 სტუდენტი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები:

● სტაფის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ და საერთაშორისო კონსორციუმებზე, გადამზადნენ ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში, როგორც ტრენერები;

● დამატებით, უნივერსიტეტის 12-მა თანამშრომელმა სპეციალური მობილობის ფარგლებში გადამზადება გაიარეს ევროპის უნივერსიტეტებში (დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ავსტრია, ესტონეთი) სწავლისა და სწავლების ახალ მეთოდებზე, რომელთა დანერგვაც დაწყებულია სასწავლო კურსებში;

● ევროპელი პარტნიორების დახმარებით მომზადდა ოთხი ინოვაციური კურსი და შესაბამის კურსებში რიდერები ქართულ და ინგლისურ ენებზე: 1. 21-ე საუკუნის გლობალური გამოწვევები აქტიური მოქალაქის და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიზნით; 2. სამოქალაქო განათლება მდგრადობისათვის; 3. აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა; 4. სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში;

● მომზადდა მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგ-პროგრამა და რეგიონის 150-მდე პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი სხვადასხვა თემატიკით და გაიცა შესაბამისი სერთიფიკატები;

● ქართულ ენაზე გამოიცა ორი რიდერი, მათ შორის, ერთ-ერთი – სამოქალაქო განათლება მდგრადობისათვის, უშუალოდ, ჩვენი (პროფ. თინა გელაშვილი) ხელმძღვანელობით;

● ჩამოყალიბდა სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, სადაც არაერთი ტრენინგი და აქტივობა ჩატარდა (ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. მაკა მურვანიძე);

● მიმდინარე სემესტრში დაწყებულია ინოვაციური კურსების პილოტირება და გაგრძელდება მომავალი სასწავლო წლიდანაც;

● პროექტში ჩართული სტუდენტები აქტიურად მუშაობენ სტუდენტებთან და ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, პიარ-კამპანიებს, ამზადებენ ვიდეო-რგოლებს, ისრაელის უსდ-ს სტუდენტებთან ერთად, გეგმავენ და ახორციელებენ საინტერესო ღონისძიებებს;

● სტაფის წევრები პროექტის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. 23-27 ივნისს, თელ-ავივში ოქსფორდის და მოფეტის უნივერსიტეტების მიერ დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენცია, სადაც სტაფის წევრები (თინა გელაშვილი, გულიკო ჯანოვა, ირმა ქურდაძე, ცირა მესხიშვილი) მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის, „მრგვალი მაგიდის“ დისკუსიებში;

● გამოიცა ელექტრონული „საინფორმაციო ბიულეტინი“ ინგლისურ ენაზე, რომელიც ატვირთულია პროექტის ვებ-გვერდზე (მზადდება მე-2 ნომერი);

● მომზადდა ვებ-გვერდი (www.CURE.erasmus-plus.org.il), სადაც აქტიურად იტვირთება ყველა ინფორმაცია.

ASSET- ERASMUS+ (2017-2020)

„შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი განათლების სასწავლო გარემოს და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით“

პროექტის კოორდინატორი გახლავთ კინერეტის (ისრაელი) განათლების აკადემიური კოლეჯი; პარტნიორი უნივერსიტეტები: **საქართველოდან**: – ილიაუნი, თსუ, სჯსუ, სოხუმის უნივერსიტეტები და მასწავლებელთა პროფესიული

თინა გელაშვილი
პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი, პროფესორი

განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC); **ისრაელიდან** – კინერეტის, ჰადასას, გორდონის და სახნინის განათლების აკადემიური კოლეჯები; ხოლო **ევროკავშირიდან** – კორკის (ირლანდია), ბამბერგის (გერმანია), ლინცის (ავსტრია), ტალინის (ესტონეთი) უნივერსიტეტები.

პროექტის მიზანია, განმავითარებელი შეფასების მოქნილი სისტემის, მიდგომებისა და ინსტრუმენტების ჩამოყალიბება; ევროპული უნივერსიტეტების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება; შემოქმედებითი და ინოვაციური შეფასების მეთოდების შემუშავება/დანერგვა და სხვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას საქართველოსა და ისრაელის უნივერსიტეტებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები:

● სტაფის 5 წევრი (თინა გელაშვილი, გულიკო ჯანოვა, მაკა მურვანიძე, დიანა მიქელაძე, ლალი ბერიძე) მონაწილეობას ღებულობდა და აგრძელებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ კონსორციუმებზე და ეროვნულ შეხვედრებზე (ავსტრია, ირლანდია, ისრაელი, საქართველო), გადამზადდა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებასა და დანერგვაზე;

● სჯსუ-ს სტაფის წევრები ჩართულნი იყვნენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში და მომზადდა 5 ინსტრუმენტი: OB-Open Digital Badges-ღია ციფრული ბეიჯი (სამკერდე ნიშნები); Critical Friend Approach – მიდგომა-კრიტიკული მეგობარი; Group (peer) Assessment & Reflective Diary – თვითშეფასება/მეწყვილის შეფასება და რეფლექსიური დღიური; შოფტ შკილლს Assessment-რბილი (სოციალურ-ემოციური უნარები); Concept Map (CoMa) – კონცეპტუალური რუქა; აღნიშნული მეთოდების დანერგვა იგეგმება წინა (DOIT) პროექტის ფარგლებში მომზადებულ ინოვაციურ კურსებში. ასევე, ჩვენს აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტები შეიტანოს თავის კურსებში. შეფასების ინსტრუმენტების პილოტირება იგეგმება 2019-2020 წლის საშემოდგომო სემესტრიდან და ორიენტირებული იქნება, სტუდენტს გამოუმუშაოს 21-ე საუკუნის საჭირო უნარ-ჩვევები და ღირებულებები;

● შექმნილია პროექტის ვებ-გვერდი: www.ASSET-ERASMUS+com, სადაც განთავსებულია პროექტის ყველა მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობა;

● ქართველი და ებრაელი პარტნიორების მიერ ჩატარდა ვორკშოპი სამი სხვადასხვა კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის სტაფის წევრებიც მონაწილეობდნენ; მსგავსი ვორკშოპი ჩატარდება თბილისში, მაისის თვეში, სადაც სამი უნივერსიტეტის სტაფს (თსუ, ილიაუნი და სოხუმი) ერთობლივად გადაამზადებენ ქართველი და ებრაელი ექსპერტები, მათ შორის, გადამზადდება ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სურვილისამებრ.

● პროექტის (ASSET) ფარგლებში შეფასების მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფისა და პროექტის წარმატებულად განხორციელებისთვის მიმდინარე ეტაპზე შეძენილია IOS სისტემის მობილური ლაბორატორია (Apple produqcia aipadebiT), რომელიც იდეალურადაა მორგებული საუნივერსიტეტო საჭიროებებზე. IOS სისტემისთვის შექმნილია უამრავი აპლიკაცია, მათ შორის, კონკრეტულად, საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთი მათგანი – Mosyle Manager პედაგოგს/ლექტორს აძლევს საშუალებას, აკონტროლოს ქსელში ჩართული თითოეული iPad, გადააგზავნოს ფაილები, ელექტრონული წიგნები, ყველა iPad-ზე ერთდროულად გაუშვას ვიდეო, აკონტროლოს სტუდენტების ჩართულობა და, საჭიროების შემთხვევაში, შეუზღუდოს მათ ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება;

● პროექტის წევრები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებზე, რეგიონის სკოლის პედაგოგებს აცნობენ ყველა იმ სიახლეებს, რასაც პროექტი ითვალისწინებს;

● პროექტში დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, თანამშრომლობითი ურთიერთობების გაღრმავებას, სტაფის გადამზადებას უახლესი, სწავლისა და სწავლების, ასევე შეფასების ახალი მეთოდების გაცნობა-დანერგვას და პარტნიორთა შორის კარგი პრაქტიკის გაზიარებას...

INTEGRITY-ERASMUS+

2017 წლის 15 ოქტომბრიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინატორობით, ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი EU-ERASMUS+INTEGRITU – **„აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“,** სადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ პარტნიორ უნივერსიტეტს საქართველოს 11 უსდ-ს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და 4 ევროპულ (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ირლანდია, ავსტრია) უნივერსიტეტს შორის.

პროექტებში სჯსუ-დან ჩართულია 8 აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგი. იგი მიზნად ისახავს აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დამყარებული სწავლისა და სწავლების ხარისხის გაძლიერებას, და პლაგიატის პრევენციის მიზნით, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის დამხმარე სერვისების შეთავაზებას და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას.

დასახული მიზნის მისაღწევად პროექტის (INTEGRITY) ფარგლებში არაერთი აქტივობა და ღონისძიება განხორციელდა, კერძოდ:

● საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მოხდა აკადემიური წერის კურსის მოდერნიზება, რომელიც დაინერგა პირველ კურსზე;

● მიმდინარე სასწავლო წლიდან, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, დაიწყო სტუდენტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზება: აკადემიური წერისა და საბიბლიოთეკო სერვისები, რითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, შეისწავლონ, როგორ მოამზადონ სამეცნიერო სტატია, აბსტრაქტი, წყაროების გამოყენება და სხვა;

● დაინერგა პლაგიატზე შემოწმების ახალი პროგრამა TURNITIN, რომელიც ინტეგრირდა MOODLE-ში და ხდება სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების (რეფერატი, ესსე, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები, სტატიები, წიგნები და სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებებისა და პროდუქტის) ატვირთვა და პლაგიატზე შემოწმება;

→

● ჩატარდა ტრენინგი როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისთვის „TURNITIN“-ის გამოყენებაზე;

● არაერთხელ ჩატარდა და გრძელდება პლაგიატის პრევენციის ღონისძიებები, პიარ-კამპანია სახელწოდებით – **„წერე აკადემიურად! გაუფრთხილდით უნივერსიტეტის რეიტინგს და დაიცავით თქვენი და სხვისი უფლებები!“** მომზადდა და გავრცელდა ვიდეორგოლი, ტრიპლეტები, სტუდენტის „დეშბორდი“ ონლაინ სისტემაში პლაგიატის პრევენციასთან დაკავშირებით და სხვა;

● საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადების პროცესშია პლაგიატის პრევენციისა და რეაგირებისთვის პოლიტიკის დოკუმენტი;

● მზადდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შიდა მონიტორინგის განხორციელებისთვის კითხვარები;

● სტუდენტური სერვისების განსახორციელებლად მომზადდა მოდულ/პროგრამები;

● პროექტის მონაწილეები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მობილობებში, გაიზიარეს მათი გამოცდილება და გადამზადდნენ;

● პროგრამაში ატვირთული ნაშრომებისთვის შეიქმნა „TURNITIN-ის“ ბაზა.

თუ გადავხედავთ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს (TEMPUS, ERASMUS+), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებულ და მიმდინარე აქტივობებს (ჯამური ღირებულება, დაახლოებით, 433 000.00 ევრო, მათ შორის, დაახლოებით, შეძენილია და იგეგმება 300 ათასი ლარის ტექნიკური აღჭურვილობა: სმარტ-ბორდები, საკონფერენციო აღჭურვილობა, ლეპტოპები, პრინტერები, გასაშლელი ეკრანები პროექტორებით, i-Pads, ვიდეო კამერა, ფოტოაპარატები, მობილური ლაბორატორია, სახელმძღვანელოები და სხვა), დავინახავთ, რომ ევროკავშირის მიერ, პროექტების ფარგლებში, მნიშვნელოვანი დაფინანსება განხორციელდა.

უნივერსიტეტის მიზანი არის და უნდა იყოს – ევროპული ღირებულებების დანერგვა; საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა; საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის როლის გაძლიერება; თანამშრომლობა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან და კარგი პრაქტიკის გაზიარება; თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა; სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება; პარტნიორებთან თანამშრომლობა აკადემიურ და ადმინისტრაციულ დონეზე და სხვა. ეს ყოველივე წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტის დაკმაყოფილების უცილობო გარანტს.

დღეს, ხელისუფლების მიერ დაანონსებული და, ასევე, ევროკავშირის მიერ გაცხადებული დაფინანსების ზრდა განათლების სფეროში სერიოზული გამოწვევაა და როგორც უნივერსიტეტებს, ისე ქვეყანას აძლევს ახალ შესაძლებლობას ერთიან, ევროპულ ოჯახში შესასვლელად.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს გუნდს (სამივე პროექტში), კონსორციუმის ყველა წევრს, კოლეგას, რომლებიც ერთგულად და მაღალი აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პროექტის საქმიანობებს, ყველა იმ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, ვინც გვერდში გვიდგას, აცნობიერებს ევროკავშირის პროექტების მნიშვნელობას და გვეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენებული სტამბოლის მამათა სავანე იმთავითვე ქართული კულტურის მძლავრ კერად ჩამოყალიბდა. იქ მოღვაწე პირები მხოლოდ სასულიერო სფეროთი არ შემოიფარგლებოდნენ. რუსიფიკატორული პოლიტიკით შევიწროებული ქართველი ინტელიგენციისა და სასულიერო პირების ეროვნულ-სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კათოლიკურ სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა, ადგილი არ ჰქონია სარწმუნოებრივ შეზღუდვას მაჰმადიანი თუ მართლმადიდებელი ქართველებისათვის.

სტამბოლის მამათა სავანის არქივში დაცული მასალები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის როგორც ქართველ კათოლიკე მამათა მამულიშვილურ მოღვაწეობაზე, ისე მათ სამშობლოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან და სტამბოლში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებთან მჭიდრო კავშირსა და თანამშრომლობაზე.

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბოლში მოღვაწე მამები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. უფრო მეტიც, ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის წარმატების საქმეში. სტამბოლის ქართველი მამების საქართველოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მათი დამოკიდებულება აკაკი წერეთელთან, რაც სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ მონასტერში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსებით გამოიხატა. გაზეთი „დროება“ 1909 წელს ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სტამბოლში მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ამასთანავე ამცნობდა მათ გადაწყვეტილებას: **„იქაურ ქართველობას გადაუწყვეტია მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობაზე დააარსოს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებელნი სთხოვენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაუგზავნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ-გაზეთები. კარგი იქნება ყველა ჩვენი ქართული გამოცემის თითო ცალს დაუთმობდეს სტამბოლის ბიბლიოთეკას.“** (გაზეთი „დროება“, №21, 1909, ქართული სამკითხველო სტამბოლში).

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს სტამბოლის ქართველი მამების გადაწყვეტილება აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ – ეს იყო აკაკის საპატივსაცემოდ განზრახული ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მათ სურდათ, რომ აკაკის იუბილეს მოწყობამდე დაეფუძნებინათ ბიბლიოთეკა: **„ჩვენი სურვილი იყო, იუბილესათვის მზათა გვქონოდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღეასასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალწინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველ ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები.“** (გაზეთი „დროება“, №101, 1909, აკაკის იუბილე სტამბოლში).

ვლადიმერ წერეთელი თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში დეტალურად აღწერს ბიბლიოთეკის დაარსების სამზადისს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ იქ მცხოვრები ქართველების სურვილი ყოფილა ბიბლიოთეკის დაარსება მონასტერში, რაც ფერიქოის მონასტრის ტერიტორიული მდებარეობითაც იყო განპირობებული და იმითაც, რომ მას გააჩნდა შესაფერისი ფართი და, რაც მთავარია, სხვადასხვა დროს შეძენილი ქართულ-ხუცური ნაბეჭდი ძველი და ახალი უცხოური წიგნები. წერილის ავტორი ბიბლიოთეკის დაარსებაში ხაზს უსვამს მამა სტეფანე გიორგაძის, მამა მერაბის და სხვა მრავალ ქართველთა ღვაწლს. (გაზეთი „დროება“, № 101, 1909, აკაკის იუბილე სტამბოლში).

ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ბიბლიოთეკის გახსნა უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ 1908 წელს, მაგრამ საქართველოდან წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათების დაგვიანებით მიწოდებამ განაპირობა მისი დაარსება და თვით აკაკის იუბილეს მოწყობა 1909 წლის გაზაფხულზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დიდი მოწონებით შეხვდნენ ბიბლიოთეკის დაარსების საკითხს და დიდი მხარდგომაც აღმოუჩინეს. კერძოდ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უსასყიდლოდ გაუგზავნია 30 ლირის ღირებულების წიგნები და სხვა დახმარებაც აღუთქვამს. ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა „დროება“, „ჩვენი საქმე“, „ძალა“, „ფასკუნჯი“ გაუგზავნეს თავიანთი გამოცემების თითო-ოროლა ეგზემპლარი.

„აკაკი ჩვენი, ვითარცა შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი“

აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა სტამბოლში

ნატო ყრუაშვილი

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი

დასახელებული ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი სიკეთე იმაშიც მდგომარეობდა, რომ იმთავითვე მასთან დააფუძნეს გაჭირვებულთა დამხმარებელი კასა და მუზეუმი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტამბოლში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა იმთავითვე იქცა იქ მცხოვრები ქართველების თავშეყრის ადგილად. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იქაურმა ქართველმა ვაჭრებმა მიიღეს გადაწყვეტილება და, განახორციელეს კიდეც, რომ კვირა-უქმე დღეებში დაკეტავდნენ დუქნებს, რათა კვირაში ერთი დღე ჰქონოდათ თავისუფალი, ბიბლიოთეკით რომ ესარგებლათ და ჰქონოდათ ქართული წიგნების კითხვის დრო და საშუალება. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი კორესპონდენციით ვგებულობთ, რომ ვინც ამას არ შეასრულებდა, სამკითხველოს სასარგებლოდ 5 ლირას გადაიხდიდა. (ვ. წერეთელი, „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი“, გაზ. „კოლხიდა“, 1911. №156).

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველ კათოლიკეთა სავანის მამები მზრუნველობას არ აკლებდნენ ბიბლიოთეკას და ცდილობდნენ მისი წიგნადი ფონდის გაზრდას. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ალიოზ (შიო) ბათმანაშვილის წერილი მიხეილ თამარაშვილისადმი: **„აქ წიგნების რიცხვი ანგარიშში თითქმის ჩასაგდები არ არის, ისტორიული დარგი დიდ სიღარიბეშია. იმედია დახმარებას აღმოუჩენთ ნორჩ ბიბლიოთეკას და თქვენს მზრუნველობას არ მოაკლებთ.“** (სტამბოლელი ქართველები, გაზ. „დროება“. №99, 1909). შიო ბათმანაშვილს მიაჩნდა, რომ ბიბლიოთეკა დიდ სარგებლობას მოუტონდა არა მარტო იქაურ ქართველობას, არამედ საქართველოდან იძულებით წასულ ქართველებს, რომლებსაც კონსტანტინოპოლში უნევდათ ჩასვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქოის მონასტრის მამების მიერ აკაკის იუბილეს აღნიშვნა ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული ღონისძიება იყო, რომელიც კი მოუწყვიათ, საერთოდ, სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს.

აკაკის საიუბილეო კომიტეტმა (თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი) იუბილეს დღედ 26 აპრილი აირჩია, საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე – ვლადიმერ წერეთელი, მისი წინადადება იყო – აკაკისათვის გაეგზავნათ მილოცვის ბარათი.

უნდა აღინიშნოს, რომ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა თბილისიდან შემთხვევით ჩასულმა პატრი – დომინიკე მუღაშაშვილმა (პანაძე). მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა თუ რაოდენ მძიმე წელი იყო ქართველი ერისათვის 1907 წელი – ილიას დაკარგვა. შემდეგ დეტალურად მოუთხრო 1908 წელს საქართველოში გადახდილ აკაკის იუბილეზე. მან, დაინახარა სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა დიდი ერთსულოვნება, შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა: **„ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნობისა, ისევ ერთ ხეზე ყოფილა დაბნეული და თავის ფესვს არ მოშორებია. გაუმარჯოსთ იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ თავიანთ სისხლითა და ცრემლით.“** (სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მასალები, შ. ბათმანაშვილის წერილი მ. თამარაშვილისადმი, 1911წ.).

დომინიკე მუღაშაშვილის სიტყვების დასაბუთებას წარმოადგენდა ის ძალისხმევა და შემოწირულობა, რომელიც სამი სარწმუნოების ქართველებმა გაიღეს აკაკის იუბილეს ჩასატარებლად და ბიბლიოთეკის დასაარსებლად.

მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა თანამემამულეებს. ფერიქოის მონასტერში ერთ დიდ დარბაზში იყო აკაკის სურათი, მორთული ყვავილებითა და წარწერით: „აკაკი ჩვენი, ვითარცა შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი“. სტამბოლში აკაკის იუბილეს თვითონ აკაკი არ დასწრებია. იუბილეს მონაწილენი იყვნენ სტამბოლში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები, თავიანთი ოჯახებით, ირანის შაჰის ბრძანებით გაძევებული რუსული გაზეთების კორესპონდენტი ი. ამირაჯიბი და, რაც მთავარია, სტამბოლში არსებული ქართული მონასტრების კათოლიკე მამები და მოწაფეები.

პარაკლისი გადაიხადა ფერიქოის მონასტრის წინამძღვრის მოადგილემ პატრმა სტეფანე გიორგიძემ. (წინამძღვარი იყო ბენედიქტე ვარდიძე), მანვე წარმოსთქვა პირველი სიტყვაც. იასე რაჭველმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია და მისი რამდენიმე ლექსი. სიტყვით გამოვიდა სტამბოლელ ქართველ ბერ-მონაზონ ალექსანდრე ბაბალეს ასულ ბაბალეს ასულ ბაბალეს ასულ ... ...

„ქალი, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 6 მარტს გამართული ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია – **„ქალი, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე“** – სტუდენტებმა მარტის დღესასწაულებს – **„დედის დღეს“** და **„ქალთა საერთაშორისო დღეს“** მიუძღვნეს. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში **მარიამ ხარაიშვილმა, მარიამ სუდაძემ, კახა მჭედლიძემ, მირზა ბურძენიძემ, ნატო ლომიძემ, ფიქრია ფანჯაკიძემ, იოსებ ჩუბინიძემ** წაიკითხეს ლექსები და გამონათქვამები დედასა და ქალზე. არაერთმა თბილმა სიტყვამ გაიჟღერა ქალის სიდიადის წარმოსაჩენად.

ღონისძიება მოამზადა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა **ნინო დობორჯგინიძემ.** დამსწრე საზოგადოებას ქალბატონმა ნინომაც წაუკითხა რამდენიმე ლექსი. ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შემატა საპატიო სტუმრად მოწვეულმა ქალბატონმა **ბარბარე (ვარა) გალიბინმა,** რომელიც უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი და რვა შვილის დედა გახლავთ. მხატვრული კომპოზიციის წარდგენის შემდგომ, ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი ფილმიდან „მზე შემოდგომისა“, რომელიც კარგად ასახავდა ქალის როლს საზოგადოებაში.

დედის დღე საქართველოში პირველად 1991 წლის 3 მარტს აღინიშნა. მაშინ ფიქრობდნენ, რომ დედის დღე ერესი თარიღი ერთ ღონისძიებაში გავაერთიანეთ და ვუწოდეთ – „ ქალი, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე“, რადგან

ქალთა საერთაშორისო დღეს – 8 მარტს შეცვლიდა, მაგრამ დღემდე საქართველოში ორივე დღესასწაული აღინიშნება. ჩვენ მარტის ეს ორი უმშვენიერესი თარიღი ერთ ღონისძიებაში გავაერთიანეთ და ვუწოდეთ – „ ქალი, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე“, რადგან ვფიქრობთ, რომ ქალი სიცოცხლის საწყისი და სიცოცხლის შემოქმედია. – აღნიშნა ნინო დობორჯგინიძემ და დამსწრე საზოგადოებას საპატიო სტუმრად მოწვეული ბარბარე გალიბინი წარუდგინა. ბარბარემ მადლობა მოახსენა ყველას ამ პატივისთვის და ყველა ქალბატონს ბედნიერი და წარმატებული მომავალი უსურვა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** მადლობა მოახსენა ორგანიზატორებსა და სტუდენტებს შესანიშნავი ღონისძიებისთვის, მიესალმა რვა შვილის დედას და აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ბარბარე სამშობლოს რვა შვილს უზრდის, ამავე დროს უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია. **თითოეულ თქვენგანს მინდა მივულოცო ქალის და, განსაკუთრებით, დედის დღე,** – მიმართა რექტორმა ღონისძიების მონაწილეთ, – **ვფიქრობ, რომ ეს დღე სულაც არ არის მხოლოდ ქალების, „ქალთა საერთაშორისო დღე“ და განსაკუთრებით „დედის დღე“, ის სამყაროსია. ჩვენ ვართ ის ერი, ის ქვეყანა, რომელიც არის დედამიწის, დედასამყაროს, დედაბოძის ქვეყანა. ამით ყველაფერია ნათქვამი. მჯერა ტიციან ტაბიძის ნათქვამი სიტყვების, რომ ქალი ქალია, დიდხანს უქმროდ რამ არონია, ქალი ქალია და იპოვის თავის მალამოსო. გისურვებთ ყველას თქვენი მალამო გეპოვნოთ, ქალბატონებო.**

ღონისძიებაზე სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ** წაიკითხა ლექსი, რომელიც საკუთარ დედას მიუძღვნა. ასევე, დედისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი გააცნო აუდიტორიას სტუდენტმა **თამარ ანთაძემ.** ასე სასიამოვნოდ და ლირიულად ჩატარდა ქალთა მიმართ მიძღვნილი ღონისძიება.

აღვნიშნავთ, რომ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და სტუდენტური თვითმმართველობა.

ლიკა ზაზაშვილი

საერთაშორისო ჩემპიონატის გამარჯვებული

16 თებერვალს, სტამბოლში გამართულ ბალკანეთის საერთაშორისო ჩემპიონატზე, რომელშიც 20 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი **მინდია ენდელაძე** ასპარეზობდა. მან 400 მეტრ მანძილზე გარბენში პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც ოსტატის წოდება მიენიჭა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს მინდიას ბალკანეთის საერთაშორისო ჩემპიონატზე გამარჯვებას და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებას.

მეტი - კიბერუსაფრთხოების შესახებ

გლობალურ საინფორმაციო სივრცეში კიბერუსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან დაკავშირებით, 28 თებერვალს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელიც წარმართა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასოცირებულმა პროფესორმა **ნანი არაბულმა.** შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე პროფესორები, პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი და ის სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებული არიან საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებით. ქალბატონმა ნანიმ მიმოიხილა საქართველოში კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარება. აღნიშნა, რომ პროექტის – **„კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევები გლობალურ საინფორმაციო სივრცეში“** – ფარგლებში, 2019 წლის აპრილში, ჩატარდება ერთკვირიანი სეზონური სკოლა, სადაც საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების დახმარებით მსმენელებს შეექმნებათ სრული წარმოდგენა თანამედროვე ციფრულ საინფორმაციო სივრცეში არსებულ საფრთხეებზე, როგორც გლობალურ, ასევე, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. ერთკვირიანი სეზონური სკოლა გორში, დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩატარდება. სკოლაში მონაწილეობა კიბერუსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდა მეცნიერებს მისცემს შესაძლებლობას, აიმაღლონ კვალიფიკაცია, მიიღონ ინფორმაცია აღნიშნული საკითხების კვლევის მეთოდებზე, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში გაიზრდება მათი ინტეგრირების ხარისხი.

რაც შეეხება სეზონური სკოლის თემატიკას, არის მრავალფეროვანი. მსმენელები გაეცნობიან გლობალურ საინფორმაციო სივრცეში განთავსებულ ინფორმაციას, სამართლებრივ რეგულაციებს; ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების კვლევისა და ანალიზის მეთოდებს; საქართველოს კიბერუსაფრთხოების სისტემის უპირატესობებს და ნაკლოვანებებს; საქართველოს კიბერუსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებს; ინფორმაციის დაცვის თეორიულ მეთოდებს, ინსტრუმენტებს და სხვა. სეზონური სკოლის დასკვნით დღეს გაიმართება კონფერენცია. პროექტის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ სეზონურ სკოლაში მონაწილეობის მიღების მსურველებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაც ელოდებიან; სკოლისთვის რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 15 კანდიდატი შეირჩევა. მათი სწავლის, სასტუმროში განთავსებისა და კვების ხარჯები სრულად დაფინანსდება.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაისვა არაერთი კითხვა და გამოითქვა სეზონურ სკოლაში მონაწილეობის სურვილი.

პროექტი „კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევები გლობალურ საინფორმაციო სივრცეში“ დაფინანსებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

ლიკა ზაზაშვილი

ირაკლი ბლუაშვილი – ლოძის უნივერსიტეტში გატარებულ დღეებზე



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლოძის (პოლონეთის რესპუბლიკა) უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებულ გაცვლით პროგრამაში – „პირდაპირი მობილობა“, არაერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. იურიდიული ფაკულტეტის საჯარო მმართველობის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა ირაკლი ბლუაშვილმა, აღნიშნული პროგრამით, ერთი სემესტრი გაატარა ლოძის უნივერსიტეტში. ის მშობლიურ უნივერსიტეტს დადებითი შთაბეჭდილებითა და მაღალი აკადემიური შეფასებით დაუბრუნდა. ირაკლის რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ირაკლი, რატომ გადაწყვიტეთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

– როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი არჩილ ჩხიტუნიძე გაცვლითი პროგრამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა პრეზენტაცია, რომელსაც დავესწარი. შეხვედრაზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მთავარმა სპეციალისტმა გურანდა მოდებაძემ გაგვაცნო გაცვლითი პროგრამები. დავინტერესდი და დეტალური ინფორმაციისთვის ქალბატონ გურანდას მივაკითხე. გავეცანი ყველა მოცემულ პირობას და გადავწყვიტე, რომ მიმეღო მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში. მოვაგვარეთ ყველა საკითხი და გავემგზავრე ქალაქ ლოძში.

– გაიხსენეთ ლოძში ჩასვლის პირველი შთაბეჭდილება.

– როდესაც ქალაქ ლოძში ჩავედი, ძალიან დაღლილი ვიყავი. იქ 10 საათის შემდეგ ქუჩაში არავინ დადის. იყო სიბნელე და სიმშვიდე. დავბინავდი. აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელში მე ვიყავი პირველი სტუმარი. მეორე დღეს შევხვდი იმ პიროვნებას, ვინც კურირებს გაცვლით პროგრამებს. მოვაგვარეთ ყველა დეტალი და დავიწყე სწავლა.

– როგორი იყო სწავლის პროცესი?

– განსხვავებული საგნების გამო, ორი სპეციალობის კურსის გავლა მომიწია. იქ ყველა ფაკულტეტს თავისი კორპუსი ჰქონდა. რადგან ავირჩიე საერთაშორისო სისხლის სამართალის და საჯარო მმართველობის, ასევე, ეკონომიკის მიმართულების საგნებიც, მომიწია სხვადასხვა კორპუსში ყოფნა. ჩემი სპეციალობა მოითხოვს როგორც იურიდიულ, ასევე, გარკვეულ ეკონომიკურ ცოდნასაც. ამიტომ, უნდა ამერჩია როგორც იურიდიული, ისე ეკონომიკური საგნები. მთლიანად ლექტორზე იყო დამოკიდებული თუ როგორ წარიმართებოდა სალექციო პროცესი. იყო საგნები, რომლებიც მოითხოვდა დიდ ენერგიას და არ იყო მარტივი მათი სწავლა. დიდი დრო იყო საჭირო საშინაო დავალების მოსამზადებლად. იყო ისეთი საგნები, სადაც მხოლოდ პრეზენტაციებს ვამზადებდით, მაგრამ პრეზენტაცია არ იყო ისეთი, რომ მოვალეობის მოხდის მიზნით მოგვემზადებინა. გვთხოვდნენ ისეთ პრეზენტაციებს, რომელსაც უნდა გამოეწვია დისკუსია აუდიტორიაში. ასევე, პრეზენტატორს უნდა წარემართა სადისკუსიო პროცესი. უნდა ყოფილიყო კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამ შემთხვევაში, ლექტორი იყო მეორეხარისხოვანი. იყო ძალიან საინტერესო პროცესი.

ტექნიკურად საკმაოდ გამართული აუდიტორიები იყო. პრეზენტაციის დაწყების დროს, ავტომატურად ჩამოდიოდა ჟალუზები, ავტომატურად ითიშებოდა შუქი, ირთვებოდა მიკროფონი. რადგან ლექციაზე სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები ვიყავით, ეს გულისხმობდა ლექტორის მხრიდან საერთაშორისო მასშტაბზე აზროვნებას. თითოეული სტუდენტი გვაცნობდა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ განვითარებებს. ამდენად, ლექტორს სხვადასხვა სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ცოდნა უნდა ჰქონოდა. ლექტორებს კომუნიკაცია, მინიმუმ, სამ ენაზე მაინც შეეძლოთ. საკმაოდ მკაცრად იყო მობილური ტელეფონების გამოყენების საკითხი. მკაცრად იკრძალებოდა მათი გამოყენება ლექციის მსვლელობისას.

– პრეზენტაციის თემატიკის შერჩევა როგორ ხდებოდა?

– პრეზენტაციის თემატიკას ლექტორი არჩევდა. არ იყო არანაირი შეზღუდვა. ის ლიტერატურას არ გითითებდა. ლიტერატურა ჩვენ უნდა მოგვეძია. ეს რთული პროცესი იყო. იყო ლიტერატურის ფართო არჩევანი და ამ მრავალფეროვნებიდან რამდენიმეს შერჩევა, ძალიან საინტერესო, მაგრამ რთული იყო. მაგალითად, ერთი პრეზენტაციისთვის მინიმუმ ხუთი წიგნი უნდა დაგვემუშავებინა, საკუთარ თავზე უნდა გვემუშავა.

– რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი, ირაკლი, რას გრძნობდით, როგორც უცხო ქვეყნის წარმომადგენელი?

– ვგძნობდი დიდ პასუხისმგებლობას. მე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოვადგენდი და ჩემი უნივერსიტეტი ღირსეულად უნდა წარმომეჩნია. როდესაც ხარ საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამით, იქ შენი თავის, შენი ქვეყნის, შენი უნივერსიტეტის და შენი ოჯახის წარმომადგენელი ხარ. ამიტომ, პასუხისმგებლობა იყო დიდი და აუცილებლად უნდა მესწავლა კარგად.

– ვიცით, რომ საკმაოდ კარგი შედეგებით დაგვიბრუნდით.

– შეფერხება არ მქონია არცერთ საგანში. საკმაოდ საინტერესო დღეები გავატარე. საინტერესო იყო როგორც ლექტორებთან ურთიერთობა, ასევე, სასწავლო პროცესში ჩართვა. ვარ დისკუსიების მოყვარული, მიყვარს აქტიურობა აუდიტორიაში. სასწავლო პროცესში ეს ელემენტი იყო მნიშვნელოვანი, რაც ძალიან მომეწონა. ვესწრებოდი, ასევე, სხვადასხვა შეხვედრებს, სემინარებს, ფართო დისკუსიებს.

– შენს ჯგუფზე რას გვეტყოდი?

– საინტერესო და მრავალფეროვანი ჯგუფი გვყავდა. ჩემთან ერთად იყვნენ იაპონელი, თურქი, ფრანგი, გერმანელი, იტალიელი, ესპანელი და სხვა ქვეყნების სტუდენტები, სტუდენტები მთელი მსოფლიოდან. ეს გარკვეულ სიმძაფრეს მატებდა სალექციო პროცესს. გებულობ მათი კულტურის შესახებ, პიროვნების შესახებ, იმას, თუ როგორია მათთან განათლების სისტემა და სხვა. იქ ყველას ეტყობოდა, რომ საბაზისო, ანუ სკოლის განათლება ჰქონდათ კარგი. ეს კი უნივერსიტეტში სწავლისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

– საიდან იყო ის პიროვნება, ვისთან ერთადაც ცხოვრობდით მთელი ამ ხნის განმავლობაში?

– ის იყო უკრაინიდან, ოდესიდან და მე ის დიდ ძმად მივიჩნიე. ალექსანდრე, ჩემგან განსხვავებით, მთელი სემესტრი სწავლობდა ლოძის უნივერსიტეტში. ახლა მას დიპლომის დაცვა ექნება.

– როგორ ატარებდით თავისუფალ დროს?

– იყო კულტურული ღონისძიებები. დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები. იყო პიროვნება, რომელიც ეხმარებოდა სტუდენტებს, გაცნობოდნენ ქალაქ ლოძის კულტურას. მას დავყავდით მუზეუმებში, მართავდა სხვადასხვა ღონისძიებებს. ამ მომსახურებას უნივერსიტეტი გვთავაზობდა. შევიძინე ბევრი მეგობარი. მე მათგან ბევრი რამე ვისწავლე. ამჟამადაც ვკონტაქტობ მათთან. იაპონელებს დავუმეგობრდი. საკმაოდ საინტერესო ხალხია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა ალექსანდრე, რომელსაც სტუმრადაც ველოდები.

– გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე. იქ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას როგორ გამოიყენებთ?

– ქალბატონ გურანდასთან ერთად გვინდა უნივერსიტეტში გავმართოთ პრეზენტაცია. გავაცნობ ჩემს თანატოლებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს პროგრამებში მონაწილეობის მიღება. მაქვს გარკვეული გეგმები, რომლებსაც მომავალში განვახორციელებ.

– ირაკლი, რომ შევაჯამოთ ეს ყველაფერი, რას ნიშნავს თქვენთვის ერთი სემესტრი ლოძის უნივერსიტეტში?

– მივეჩნიე დამოუკიდებლობას, მივიღე უცხოური განათლება, პრაქტიკა. ეს იყო განათლება, რომელსაც ვერ შეიძენ აქ, ვგულისხმობ ევროპულ განათლებას. გავეცანი, თითქმის, მთელი მსოფლიოს ხალხთა კულტურას, ჩვეულებას, აზროვნებას. ეს ყველაფერი საინტერესო, მნიშვნელოვანი და ბევრის მომცემია.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს!

21 მარტი შემთხვევით არ არის შერჩეული – დაუნის სინდრომი ეწოდა მდგომარეობას, რომლის დროსაც, 46 ქრომოსომის ნაცვლად, გვხვდება 47 ქრომოსომა 21-ე წყვილში, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება, შესაბამისად, რიცხვი – 21 – შერჩეულია 21-ე ქრომოსომის სიმბოლოდ, ხოლო წელიწადის მე-3 თვე, მარტი – ტრისომიული მოვლენის.

არც ჭრელი წინდებია დაუნის სინდრომის შემთხვევითი სიმბოლო – წინდა ქრომოსომის ფორმას მოგვაგონებს. მთელ მსოფლიოში, სიმბოლურად, ადამიანები ზოლიან წინდებს იცვამენ. ამ აქციით მსოფლიო გამოხატავს სოლიდარობას დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა მიმართ, რომელსაც შეუერთდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც და I კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძოებით სოლიდარობა გამოუცხადა დაუნის სინდრომის მქონე პირებს. ღონისძიებას უძღვებოდა ორგანიზატორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფსიქოლოგიის დოქტორი **გულიკო ბექაური**. სიტყვით გამოვიდნენ სტუმრები, ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ექიმი – **ლამარა კიკნაძე,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე – **ნინო რუხაძე.** საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და მცდარი შეხედულებების, მითებისა და რეალობის შესახებ პრეზენტაციები გააკეთეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა **ნათია გურჯიშვილმა** და **მედეა ლომიძემ.** მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან!

უნივერსიტეტის
facebook-ის გვერდიდან

„სულის გათავისუფლება ბოდიშის მოხდით შეიძლება“

ლალი ბერიძე
ასოცირებული პროფესორი

შენდობის კვირა... ცოდვები... შეუმჩნეველი და უნებლიე შეცოდებები... „სულის გათავისუფლება ბოდიშის მოხდით იწყება...“ ეს და სხვა ათასი შეგონება – ათასჯერ მოთხრობილ-ახსნილი, თავადგანცდილი, მიტრიალებდა გზად სამებისკენ, სტუდენტებთან პატრიარქის შეხვედრის წინ. ლოცვანი ამოვიღე და ვკითხულობდი, იქნებ დამეძლია ის შინაგანი წინააღმდეგობა, რასაც ეს ფიქრები აღძრავდნენ ჩემში. „თვითონ მაპატიეს, მე რომ ვაპატიო? თვითონაც ასე განიცდიან ჩემთან ყოველ შეცდომას?“ – მიტრიალებდა თავში და ახლა დედის ლოცვებზე გადავედი, სადაც ყველაფერი ნათელი და ჩემი გულიდან ამოსულ სათქმელს ჰგავს. უცილობლად ქალის დაწერილია, მაინც მიელვებს თავში და მაბრკოლებს ლოცვის წაკითხვისას ფიქრები. ვუბრუნდები და თავიდან ვკითხულობ...

დედა ურეკავს ჩემს გვერდში მჯდომ სტუდენტს და გზას ულოცავს. მერე ეს გოგონა ყვება, როგორ განიცდის დედა მის ყველა გადაადგილებას და კი უშვებს თავისუფლად ყველგან, მაგრამ ფიქრით სულ თან დაჰყვება... ნეტავ როდემდე! ისევ ვწყვეტ კითხვას და მივუგებ, რომ მთელი ცხოვრება ასეა და დედასა და შვილს შორის ჭიპლარი მხოლოდ ფიზიკურად წყდება. მერე, ალბათ, აღარ შეგაწყენს თავს დარიგებით, მაგრამ სულ ასე იფიქრებს და შენთან იქნება სულ-მეთქი, ვუხსნი.

ჩავამთავრე დედის ლოცვაც. მივლულე თვალები და ახლა ახალგაზრდების საუბარს ვუსმენ; თამაშობენ, ერთობიან, ხალისიანად არიან. მაგონდება ახალგაზრდობაც, სტუდენტობაც თავისი სიკასკასითა და ხმაურით. აქა-იქ ჩავერთვები ხოლმე და ნელ-ნელა იბმება ურთიერთობის ძაფები, რომელსაც ახალციხეში დაბრუნების შემდეგ კარგი სალამი და ღიმილიანი შეხვედრები მოსდევს.

სამების წინ ვართ. გაჩახჩახებული აღიმართა ჩვენს წინაშე, მთელი სიდიადით. თემურ მაღრაძეს, ჩუმად რომ მოუყვებოდა გზას (ისიც ფიქრებში ჩაძირული), აღმოხდა: რა დიდებულია, ლალი, არ იყო ეს ასაგები? დიდება უფალს... – ვპასუხობ და კიბეებზე მდგარი ახალგაზრდების სიმრავლე მხიბლავს.

ფიქრებით და ოჯახზე ლოცვით, ცოტა გულაჩუყებული მივუყვები კიბეებს. შევედით ტაძარში და თითქოს გადაეცა უწმინდესს და უნეტარესს ჩემი ფიქრები, ყველაფერზე გამცა პასუხი. მე, პირადად მე მიპასუხა. ასე თქვა ყველამ, ვისაც მერე გავესაუბრე, ყველა მათგანს ჰქონდა შეგრძნება, რომ თითოეულ ჩვენგანს ესაუბრებოდა უწმინდესი, ჩვენი ცოდვების ტარებით დაღლილი და თავისი ცოდვების ჩვენგან პატიების თხოვნით ჩვენში ცამდე ამაღლებული ქართველთა ცოცხალი წმინდანი. ასე ჩურჩულებდა ჩემს გვერდით ქალბატონი, ასე პატიობდა მას ტაძარში მყოფი ყველა ჩვენგანი იმ ცოდვებს, რომელიც არაფრით არ აღემატებოდა თითოეული ჩვენგანის ცოდვას, უფრო სწორად, ჩვენი ცოდვებიც იყო. ჩვენ ერთად ვიზიარებდით ქართველთა წინაშე უნებლიედ, თუ ნებსით ჩადენილ შეცდომებს, რაზეც თავის დროზე არ ამოვიღეთ ხმა, ან ვერ გავიაზრეთ ის, რაც ხდებოდა, ან ხდება... მოკლედ, ვიზიარებდით პატრიარქის თხოვნას, ვპატიობდით მას. საკუთარ შეცოდებებზე ჩაფიქრებული, მაინც ვეჭვობდი (მაპატიე, უწმინდესო, მაპატიე, უფალო) – ყველა, ვის წინაშეც თავს დამნაშავედ ვგრძნობ, უსიტყვოდ მაპატიებდნენ, ან მე თუ შევძლებდი მათ ბოლომდე პატიებას, თუნდაც ბოდიშის მოხდის შემდეგ? დედა მაპატიებს. აღმოვაჩინე ხსნა. მე ვაპატიებ შვილებს, დას, ძმას კი, საერთოდ, ვერ ჩავუთვლი ვერაფერს ჩემს წინაშე დანაშაულად, ის ჩემთვის ყოველთვის მართალია... აქ შეიზღუდა უთუოდ საპატიებელთა სია... სხვებს? აი, ასე რომ იყო, იქ რომ მე ვიყავი მართალი?!. ეკრანივით ცოცხლდება ყველა კადრი და – „უფალო, აპატიე, თუ თვლი, რომ საპატიებელია...“ – გადავაბარე ისევ უფალს. მაშინვე მპასუხობს უწმინდესი – „ის, რაც გახსნილია მიწაზე, იხსნება ზეცაშიც, ის რაც დახურულია მიწაზე, იკრულება ზეცაში“... სასწრაფოდ ვხსნი უფალს ტვირთს და უკვე იოლად ვამბობ სიტყვებს მიტევების შესახებ.

უწმინდესი ახალგაზრდებს მიმართავს და სთხოვს მათ, ნუ გაიმეტებენ ერთმანეთს, მიუტევონ ერთმანეთს შეცდომები, ნუ მივლენ თავად შეცდომებამდე და შეცოდებამდე. ყველა ვუერთდებით ლოცვას და, ალბათ, ყველას სხვადასხვა ამბავი აგონდება ახალგაზრდების ტრაგიკული დაღუპვისა და დაზიანების შესახებ. გვახსენდება გაიოლებული ურთიერთდაუნდობლობისა და გამეტების, უბრალო მიზეზითა და, საერთოდ, გაუგებარ ვითარებაში მომხდარი ისტორიები, საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია და გაორებული შეფასება, მართალმტყუანის გამოვლენის საეჭვო დასკვნები, ისიც, რომ არ არსებობს ერთი სასულიერო, თუ საერო კრიტერიუმი, რომელიც ყველასათვის ერთნაირად მისაღები და უსათუოდ შესასრულებელი იქნებოდა. მთის კანონებს ხომ ვერ დაარღვევდა ვერც ხევისბერის შვილი, „ვისი გორის ხარ“ ხომ განმსაზღვრელი ფრაზა იყო დიდხანს ჩვენთვის და ოჯახის, თემის, ერის შერცხვენა იყო ამ ნორმის დარღვევა?! რაღაც საერთო სახალხო უპასუხისმგებლობამდე მივედით ერიც და ბერიც, აქაც, სხვაგანაც. საით მივეშურებით თუ მივექანებით? ისევ ისმის უწმინდესის სიტყვები: გიყვარდეთ სამშობლო, მოყვასი, ერთმანეთის გატანით დაიცავთ მას და მოუვლით...

უწმინდესის მშვიდი, დამაჯერებელი მეტყველება, მის ახლოს ყოფნა, როდესაც ვერც ხედავ მას და ვერც უახლოვდები, ხალხის სიმრავლის გამო, ისე მოქმედებს, რომ საოცრად ამაღლებული, ფიქრიანი განწყობა გვაქვს მეც და ყველა გვერდში მდგომსაც. სულ სხვაგვარად ჩაფიქრებულები მოვუყვებით უკან გზას ახალციხისკენ და ავტობუსში სუფევს განწყობა – შევუნდოთ ყველას, დავინდოთ ერთმანეთი. წუთით ყველას გვავიწყდება ყოფის სიმძიმე და ურთიერთობების სიმძაფრე, ჩვენ მივუტევებთ, იმედია მოგვეტევება კიდეც...

სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ორგანიზებით, 1 თებერვალს, ჩატარდა სტუდენტთა მეორე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – **„სამართლის აქტუალური საკითხები“**. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ექვსმა უმაღლესმა სასწავლებელმა, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

კონფერენციაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგინეს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის სტუდენტებმა: დონარი ლონდარიძემ, ლილი ზაზაძემ, ლამარა თელიაშვილმა, ანა არუთუნიანმა, მარიამ ლეკიშვილმა, ლია ბერიძემ, თორნიკე ზაზაძემ და მარიამ სუდაძემ. მათ საკონფერენციო თემების შერჩევასა და მომზადებაში დაეხმარა მათი ხელმძღვანელი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ ლომსაძე.

კონფერენციის გახსნისას სტუდენებს მიმართა და კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე მღებრიშვილმა, მისმა მოადგილემ გიორგი სოსიაშვილმა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მარიკა შერაზადიშვილმა

და პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელმა, უფროსმა მასწავლებელმა ივანე ბალახაშვილმა.

40 მომხსენებლის მიერ, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 25 ნაშრომი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არცერთი ნაშრომი არ ეხებოდა დღესდღეობით არსებულ, ერთი და იმავე, ყველაზე აქტუალურ სამართლებრივ საკითხსა თუ პრობლემას, რის შედეგადაც დამსწრე საზოგადოების ცოდნა გაღრმავდა არა ერთი, არამედ მრავალი საკითხის მიმართ.

მოხსენებები, თავისთავად, იყო ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო. თითოეული მოხსენების შემდეგ იმართებოდა დისკუსია, ნაშრომში გამოკვეთილ საკითხებთან დაკავშირებით მომხსენებელს კითხვებს უსვამდნენ როგორც პროფესორები, ისე სტუდენტები. კონფერენციის დასრულებისას მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

მსგავსი ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში სტუდენტთა მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი იღებენ ბევრ ისეთ საჭირო ინფორმაციას, რომელთა ცოდნაც პროფესიულ ზრდას განაპირობებს.

მარიამ სუდაძე
იურიდიული ფაკულტეტის
მე-3 კურსის სტუდენტი

ინფორმაცია

● **26 თებერვალს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გასაცნობად ეწვივნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა პამაჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგის **სოფო ბერიძის** ხელმძღვანელობით. მოსწავლეებმა, პირველ რიგში, დაათვალიერეს უნივერსიტეტის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი მეტად საინტერესო ექსპონატები და ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმში მოსწავლეებს თანხლებას უწევდა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე.** მოსწავლეები შეხვდნენ, აგრეთვე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, გაეცნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტის გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტი“-ს რედაქციას, დაათვალიერეს კაბინეტ-აუდიტორიები, იმიტირებული სასამართლოს დარბაზი, ესაუბრნენ სტუდენტებს და შთაბეჭდილებებით სავსენი დაუბრუნდნენ მშობლიურ სკოლას.

ღონისძიება უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ორგანიზებით განხორციელდა.

● **7 მარტს,** სამცხე-ჯავხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის 208-ე აუდიტორიაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორმა **გიორგი მუმლაძემ** სტუდენტებისთვის გამართა. საჯაროლექცია თემაზე – **„ქართული მართლმსაჯულების გამოწვევები“.** სტუდენტებმა ყურადღებით მოისმინეს ლექცია და საკითხის მიმართ გამართეს აქტიური დისკუსია.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ სტუდენტური თვითმმართველობა.

უნივერსიტეტის
facebook-ის გვერდიდან

„მესხი ვარ, შოთას რუსთაველიდან, ზარზმის კედლებში მლოცველი ბერი...“

რევაზ ზუმბაძე
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

* * *

როგორც მთვარეული, ღამის უსიცოცხლო
კედლებს ვეხეთქები,
ხელებს გაბუჟებულს, სითბოს ნატამალი
აღარ ეკარება,
ახლა უსახლკარო ტაძრის შესასვლელში
ხატებს ვეფარები,
ახლა, ღმერთის გარდა, უკვე ყველაფერში
ეჭვი მეპარება.

არ ვარ მათხოვარი! მაგრამ სათხოვარი
უკვე იმდენია,
ვერც ერთ სიცოცხლეში მისი ნახევარი
ვერცკი დაეტია,
ვიცი! ადამის ძე, როცა ბოროტდება,
რისი ჩამდენია,
ვიცი! ბოროტდება, რადგან წამის გარდა
ყველას დაეწია.

ბრდღვინავს ჯოჯოხეთი, ცეცხლში
ლუციფერი აღარც იფერება
აღარც ვინმე ამბობს – „მამავ” აღსარების
კალთა დამადეო,
დიდი დედამიწა, ხშირად გაყოფილი,
ძლივსღა იკერება
უკვე ვეღარ ხატავს თითებმომტვრეული
„ლოთი” ამადეო.

დარჩა მოგონება, წარსულს გადაედო მტვერი
უმიზეზო,
ლირის ცრემლებია, და რამ გააგიჟა ნეტავ
მორიარტი,
დარბის პერსონაჟი უკვე უამრავი,
უზნე-უსიკეთო,
მწვანე ბილიკს გადის, ღმერთის სასწაული
„დიდი გოლიათი”.

დადის უდაბნოში, წყურვილს ებრძოლება
„ჯანის” ქარავანი,
მთვრალი მთაწმინდაზე, გლოვა „შემაყვარა”
უკვე გრანელობამ,
ვერსად დაამარცხეს „ტყვილის”
მსროლელებმა მართლის ფალავანი,
მაგრამ სამწუხაროდ ყველა დაგვამარცხა
გაუტანელობამ!

აღარც წიგნიერი, აღარც გენიოსი, აღარც
უბრალონი,
რაღა პერსონაჟი, უკვე აღარაა ფურცვლის
ეტაპები,
სადღა შეგხვდებიან ახლა ცხენზე მჯდარი,
მაგრამ უთავონი,
გარეთ გამოსული ისევ ოთხი კედლის
კარებს ეტაკები.

ცათა კიდეები, მიწას ემტერება მეხს ტეხს
ალვისხე და
უკვე დამსხვრეული გრძნობის ეპოქაა,
ვერცხლი აბრჭყვიალდა,
აღარც დახეული გულის კუნჭულები აღარ
ჩამიკერდა,
აღარც „გაქცეული” ურა პატრიოტის
დროშა აფრიალდა.

თუ ეს ვენდეტაა, ღმერთმა სამართალი
უკვე ისამართლა,
ომმა წასაგები უკვე წააგო და ბრძოლაც
დამთავრდება,
წამმა წუთებთანაც წლების საგროვებლად
ბევრი იკამათა,
მაგრამ დრო მოვა და ბნელში ნაგროვები
„ვერცხლიც” გათავდება.

* * *

არ ვარ მათხოვარი! მაგრამ სათხოვარი
უკვე იმდენია,
ვერც ერთ სიცოცხლეში მისი ნახევარი
ვერცკი დაეტია,
ვიცი! ადამის ძე, როცა ბოროტდება, რისი
ჩამდენია,
ვიცი! ბოროტდება, რადგან წამის გარდა
ყველას დაეწია.

* * *

აღარა თქვა, დავიღალე! მწარე არის, ვიცი
ეს და,
მეგობარო, შენ კი არა, „უფლის ხელის”
კაციც შეცდა!

რა აზრი აქვს მოთქმას, კივილს? ღამის
თევას მარტოს მკლავზე?
მეგობარო, შენ კი არა, ღმერთიც იყო
მარტო ჯვარზე!

ნუ წუწუნებ, გშია? შეჭამ! თუ გწყურია,
წვიმაც მოვა,
შენ კი არა, ბოლობოლო, ბედმა ვინ არ
მიატოვა!

ვინ არ მოჰკლა? ვინ არ ჩოქა? ვინ დასტოვა
ისე მკლავის?
ეგ კი არა, ისეც ხდება, უდაბნოში ვარდიც
ყვავის!

დარდიც ყვავის, როცა ტირი, როცა იმედს
კარგავ სხვისას,
ბოლობოლო, კაცი ხარ და, შვილსაც
გაზრდი ზოგჯერ მტრისას.

რადგან გული გაგაჩნია, რადგან იცი პურის
ყოფა,
მაგრამ სული თუ წაგიხდა, ქვეყანაც კი
არ გეყოფა.

აღარა თქვა, აღარა თქვა, არ დაღლილხარ,
ვიცი ეს და
შენ კი არა, მეგობარო , სადღაც ერთხელ
ღმერთიც შეცდა!

* * *

მესხი ვარ, შოთას რუსთაველიდან
ზარზმის კედლებში მლოცველი ბერი,
და ვით აღმდგარი სარეცელიდან,
მე ლაზარე ვარ, სიკვდილის მტერი!

ფარეზის ძე ვარ, ღმერთმანი, მე ვარ,
საფარის კედლებს ვაფარე ხელი,
ბექა ვარ, სარგის ჯაყელის ძე ვარ,
თვითონ სარგისის ბერული წვერი!

მე ანდრია ვარ, ქრისტეს გზით მოველ,
მე ის ჯვარი ვარ, ქრისტეს გზის მხილველ,
ხელუქმნელ ხატის მლოცველი ყოველ,
ეპისკოპოსი აწყურის პირველ!

მე წმინდა ნინოს კვალი ვარ ფეხის,
მისი ნაწნავით ნაკონი ვაზი,
გავარდნილი ვარ, ვით როგორც მეხი,
ურჯულოთ ხმლისგან ნატოვი ბრაზი!

მე „ახდილა” ვარ სოფელი მთაზე,
გადარჩენილი ცოლ-ქმარი მე ვარ,
მე ვარძია ვარ, თამარის მკლავზე
მესხის ნათალი უნგრევი კლდე ვარ!

მე ის ტაო ვარ, მაჰმადის ხელში,
მე იშხანი ვარ, გუმბათი მტკივა...
წმინდა გიორგის „საჭე” ვარ ზველში
და გზა, რომელიც ხანცთამდე მივა!

არტაანი ვარ, ჭანეთი, თორი,
ჭოროხის აუზს გამცდარი ლაზი,
დიაოხი ვარ მე მესხთა ტომი
და მეომარი სპერელი ვაჟი!

მესხი ვარ, შოთას რუსთაველიდან
ზარზმის კედლებში მლოცველი ბერი,
და ვით აღმდგარი სარეცელიდან
მე ლაზარე ვარ სიკვდილის მტერი!

* * *

სადაც მუსიკა იწერება,
კაცთაგან შეთხზული სიმფონია,
სადაც ცა და მიწა ერთიანი
სიცოცხლის რითმების სინქრონია.

სადაც ქალი კიდევ მშობიარობს,
ბავშვი პირველ წამზე ატირდება,
სადაც მარტო კაცი ვერ იცოცხლებს,
მაინც მეგობარი დასჭირდება.

სადაც ომი არის მშვიდობისთვის,
სადაც შავი ზღვაა ლურჯი ფერის,
სადაც ფერთა გამა ულევია,
სხივთა საუკუნო გადაფრენის!

სადაც ერთი სიტყვა ხანჯალია,
ქარქაშსს ბლაგვი პირი ვერ ერგება,
სადაც წამი არის საუკუნო,
დრო კი არასოდეს არ ჩერდება!

სადაც იშლებიან იები და
მდელოს სურნელება იკრიბება,
სადაც იავნანის გამღერება
ყველა ენისათვის იკითხება!

სადაც საფლავებზე თარიღები
წვიმის წვეთებისგან წარიშლება,
სადაც ვარდის ბუჩქი ეკლიანი
უცნობ საფლავებზეც გაიშლება.

სადაც პურია და წითელ ღვინოს
სულთა საზიაროდ დაალბობენ,
სადაც შეციებულთ, მოშიებულთ
ღვთისგან ერთი ლუკმით გაათბობენ!

სადაც აღმართული მთებია და
ველზე გაფენილი მიმოზები,
სადაც სიმღერაა, პოეზია,
ცეკვა, ვნებიანი მიმოხვრებით!

სადაც ერთი არის სიცოცხლე და
ერთის დასასრულსაც წამში გრძნობენ,
მითხარ, შენ, უფალო, ბოლო გადარჩენის
სულის სილამაზეს, კაცნი რატომ მტრობენ?!!

დრო

ნეტავ სად მიდის თვითონ დრო?
იქნებ ოჯახი დროსაც ჰყავს!
იქნებ ჩვენშია თვითონ დრო?
ისხამს სიკვდილის მოსასხამს.

იქნებ სულია თვითონ და
უბერავს წამებს თვითონ სულს!
იქნებ აძალებს სამყარო,
ასე ცხოვრება სულ არ სურს?!

იქნებ სტკივა და იარებს
სხვის ტანზე მეტად ამძიმებს.
ცოდვილი არის იქნებ დრო
და ეს არასდროს აძინებს!

იქნებ სიცოცხლე უყვარს და
არ სძულს სიცოცხლის მიზანი,
იქნებ უკვდავი არც ის და
თვითონ სიკვდილი ის არის!

იქნებ დრო არის ჩრდილი და
ჩვენი აჩრდილის მხევალი?!
თავისუფალი იქნებ არც
და თვითონ „ჩვენი“ მძევალი?!

იქნებ ბებერი უკვე და
ბრძენი ჭაღარა „წვერებით“,
იქნებ ბრაზდება მოხუცი,
რომ მის „დროს“არ ვეფერებით?!

წერილი რედაქციას

მოულოდნელი საჩუქარი

ქალბატონო მარინე, მოგესალმებით ადიგენის რაიონის სოფელ ჭელის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი ფრიდონ აბაშიძე. ჩვენი გაცნობა მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თქვენ „განახლებული მესხეთის“ რედაქტორი ბრძანდებოდით. საქმისადმი თქვენი ტოლერანტული დამოკიდებულებით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემს პიროვნებაზე. სწორედ ამიტომ ჩემი წერილები გამოსაქვეყნებლად სწორედ თქვენთან მომქონდა. ამჯერადაც თქვენ მოგმართავთ და გაგიზიარებთ ჩემი სოფლის პრობლემების შესახებ, რაც მაღელვებს არა მარტო მე და იმ სურვილებს გაგიმხელთ, რომელთა განხორციელება სიკეთეს მოუტანს ჩვენი სოფლის ახალგაზრდებს.

მოგეხსენებათ, რომ ადიგენის რაიონში 1500-მდე კომლი ეკოემიგრანტი ცხოვრობს ხულოს რაიონიდან და მათ რიცხვში მეც შევდივარ, 1980 წლიდან.

დავიბადე და გავიზარდე ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილებში. სკოლის დასრულებიდან მალევე აღმოვჩნდი ადიგენის რაიონში. დავასრულე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (დღევანდელი უნივერსიტეტი) საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, ბიბლიოთეკათმცოდნეობის განხრით. ამ პერიოდში მოხდა სოფელ საირმის (ძველი ნასოფლარის) აღდგენა, სადაც სასოფლო ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა და აგერ, ოცდაათი წლის მანძილზე, წიგნებს ვეფერები.

გავიდა ხანი და ჩვენი ახალი მთავრობებისთვის ბიბლიოთეკები ზედმეტი აღმოჩნდა, შემამცირეს მეც. ამის შემდეგ ვმუშაობ სოფელ ჭელის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში და დღემდე ვცხოვრობ აქ. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ჭელის სკოლა 2003 წელს გაიხსნა ხალხის დაჟინებული თხოვნით. შენობა, ფაქტობრივად, სოფლის მოსახლეობამ ააგო, არასამთავრობო ორგანიზაცია – „მერსიქორის“ დახმარებით აჭარელთა ჩამოსახლება სკოლაზეც აისახა(გაიხსნა და გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა) და სოფელზეც, მშრომელმა მარჯვენამ ააგო შედარებით უკეთესი შენობები და მოაწესრიგა ეზო თუ სახნავსათიბი. თუმცა, ბოლო დროს რაიონში განვითარებულმა მოვლენებმა (შეგნებულმა თუ შეუგნებელმა ხელშეწყობამ რელიგიურ დაპირისპირებაში) მეც და ბევრი სხვა აჭარელი მოსახლეც, აქაურობისათვის უმომავლო ადამიანებად გვაქცია, ჩვენი შვილები უკან, აჭარისაკენ მიაბრუნა და აქ მხოლოდ ასაკოვანი ადამიანები ვრჩებით. აქაურობა დგება იგივე პრობლემის წინაშე, რაც 80-იან წლებში იყო. დაიწყო სოფლების დაცარიელება და თუ არა სახელმწიფოს აქტიური მოქმედება, ეს პროცესი შეუქცევად სახეს მიიღებს.

ცოტა ხნის წინ ვესტუმრე სამცხე-ჯავახეთის კულტურისა და განათლების ცენტრს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც გავიცანი გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი, ბატონი ავთანდილ ბერიძე, რომელსაც ულოცავდნენ გაზეთის გამოცემის 20 წლის იუბილეს. მილოცვას მეც ვუერთდები წრფელი გულით და ვუსურვებ წარმატებებს სამშობლოს პროგრესის გზაზე.

პროფესორი მერაბ ბერიძის შუამდგომლობით სკოლის ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადმომცეს საბავშვო ლიტერატურა, რისთვისაც სკოლისა და სოფლის სახელით მინდა გადავუხადო გულითადი მადლობა ყველას, ვინც სულ მცირე წვლილი მაინც შეიტანა ამ საქმეში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი ოცნება გაგიზიაროთ: რამდენად სასიკეთო იქნება მომავლისათვის სკოლისა და უნივერსიტეტის უფრო დაახლოება, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრები მოსწავლეებთან და მათი ლექციების მოსმენა, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად და პირიქით – მოსწავლეთა მიწვევა უნივერსიტეტის საინტერესო ღონისძიებებზე. ჩემი აზრით, ამ საკითხზე უნდა ვიფიქროთ სკოლამაც და უნივერსიტეტმაც.

ფრიდონ აბაშიძე
ადიგენის რაიონის სოფელ ჭელის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი

ანა არუთუნიანის დიდი წარმატება

პარლამენტარიზმის კვირეულის გახსნის დღეს, 12 მარტს, პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს **ანა არუთუნიანს** ესეების კონკურსში გამარჯვების სიგელი და მედალი გადასცა. ანა არის ერთ-ერთი იმ შვიდ სტუდენტს შორის, რომლებმაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამართულ სტუდენტური ესეების კონკურში გაიმარჯვა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჯილდოები სტუდენტებს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ისტორიულ დარბაზში გადასცა.

თემაზე – **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება – 100“** ესეების კონკურსში, თითქმის, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები ჩაერთვნენ. მათგან გამარჯვება მხოლოდ შვიდმა სტუდენტმა მოიპოვა. პარლამენტარიზმის კვირეულის ფარგლებში გამართულ ყველა ღონისძიებაზე, რექტორისა და სხვა ხელმძღვანელი პირების მხრიდან, არაერთხელ გაიჟღერა მილოცვებმა და ინფორმაციამ ანას წარმატების შესახებ. ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ანა, მოგვიყევით თქვენს შესახებ.

– დავიბადე და გავიზარდე სოფელ სხვილისში. მოგეხსენებათ, სხვილისი სომხური სოფელია. დავამთავრე ამავე სოფლის სომხურენოვანი სკოლა და გადავწყვიტე, ჩამებარებინა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავდაპირველად, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მსმენელი გავხდი. ქართულ ენას ვფლობდი, მაგრამ ამ ერთმა წელმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. შევძელი ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის სიღრმისეულად შესწავლა. შემდეგ სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე გავაგრძელე. სამართლის სპეციალობა ბავშვობიდან მაინტერესებდა. ეს სფერო ყველაზე მეტად შეესაბამება ჩემს ხედვასა და აზროვნებას სამყაროს მიმართ. ვფიქრობ, ამ სპეციალობის მეშვეობით შევძლებ ადამიანთა უფლებების დარღვევის მინიმუმამდე დაყვანას. ფაკულტეტზე სწავლის პროცესი საინტერესოა. ყოველთვის ვგრძნობ ლექტორების გვერდში დგომას. პირველი სემესტრიდანვე მქონდა მაღალი შეფასებები ყველა საგანში. ვარ შიდასაუნივერსიტეტო სტიპენდიის მფლობელი.

– რამდენად აქტიური სტუდენტი ხართ?

– სკოლიდან მოყოლებული ვიყავი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართული, ვესწრები უნივერსიტეტში გამართულ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებს. ასევე, ჩვენს უნივერსიტეტში ვეუფლები ექთნის თანაშემწის პროფესიულ პროგრამას. ვფიქრობ, რომ სტუდენტებმა დრო კარგად უნდა გადავანაწილოთ. ასევე, ვარ უნივერსიტეტში გამართულ, თითქმის, ყველა პოეზიის საღამოს მონაწილე. ძალიან მიყვარს პოეზია და სცენაზე დგომა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ამ ყველაფერმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. ვმეცადინეობთ მხატვრულ კითხვაში, დავხვეწე მეტყველება, სცენაზე დგომის მანერები, აქტიურად ვიღებ მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციაში. რა თქმა უნდა, ტარდება ლექციები და ვსწავლობთ სხვადასხვა საკითხს, მაგრამ სტუდენტისთვის საინტერესო თემის განხილვა სიღრმისეულად, გამოტანა აუდიტორიის წინაშე, მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, ჩვენი სპეციალობისთვის, რადგან კანონმდებლობაში მუდმივად არის ცვლილებები. ასევე, აქტიურად ვარ ჩართული იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, რომელიც უნივერსიტეტში თვეში რამდენჯერმე იმართება.

– თქვენ ხართ ერთ-ერთი გამარჯვებული კონკურსის, რომელიც გაიმართა თემაზე – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება – 100“. პირადად პარლამენტის თავმჯდომარემ გადმოგცათ ჯილდო. როგორი იყო ეს დღე თქვენს ცხოვრებაში?

– ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იყო. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ჩემი თემა ამხელა კონკურენციაში გაიმარჯვებდა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა, განსაკუთრებით, ჩემთვის, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლისთვის.

– გვესაუბრეთ თემის შინაარსზე.

– თემის ზოგადი სათაური იყო **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება – 100“.** ჩვენ უნდა გვესაუბრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და შემდეგ უნდა აგვერჩია კონკრეტული მიმართულება, თუ რა შეიცვალა ამ პერიოდიდან დღემდე. შესავალი ნაწილის შემდეგ, სამსჯელო თემად ეთნიკური უმცირესობების ადაპტირების პროცესები ავირჩიე. თემაში ისტორიულ მომენტებზე – როგორ გადმოსახლდნენ ჩემი წინაპრები საქართველოში და მსგავს საკითხებზე გავამახვილე ყურადღება. ვისაუბრეთ პირველ პარლამენტში რამდენად იყვნენ ჩართული ზოგადად ეთნიკური უმცირესობები, დღესაც რამდენად დიდია მათი ჩართულობა, თუ არის პრობლემა – რა პრობლემაზეა საუბარი. მაგალითად, არის თუ არა ეს ენის ბარიერი, ინტერესის ნაკლებობა და სხვა. ასევე, ვისაუბრეთ დღევანდელი ადაპტირების პროცესზე, ცნობიერების ამაღლებაზე, სტერეოტიპების დამსხვრევაზე. აღსანიშნავია, რომ დღეს უამრავი პროექტი ხორციელდება ინტეგრაციის კუთხით და თუ შევადარებთ იმდროინდელ და ამჟამინდელ სიტუაციას, ამ კუთხით ბევრი ნაბიჯია წინგადადგმული. მინდა მადლობა ვუთხრა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს გულიკო ბექაურს, რომელმაც დამაკვალიანა თემასთან დაკავშირებით და ასეთ შედეგს მივაღწიეთ.

– ახსენეთ ინტეგრაციის პროცესები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებს. თუ გქონდათ თემაში ამ კუთხით გამახვილებული ყურადღება?

– რა თქმა უნდა. უნივერსიტეტთან დაკავშირებით მოვიძიე ის ციფრები, თუ რამდენი სომეხი თუ აზერბაიჯანელი სტუდენტი სწავლობს აქ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებული უნივერსიტეტია. ის მულტიეთნიკურობით გამოირჩევა და აღსანიშნავია, რომ აქ ყველა სტუდენტის უფლება თანაბრადაა დაცული, ინტეგრაციის პროცესი მაღალ დონეზეა.

– რას ნიშნავს თქვენთვის ეს გამარჯვება?

– ჩემთვის მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია ეს გამარჯვება. ასეთი სერიოზული წარმატება პირველად მხვდა წილად. გადმომეცა სიგელი, მედალი და სიმბოლური საჩუქრები. ამ დღემ მომცა სტიმული, არ მოვდუნდე და უფრო მეტი შემართებით გავაგრძელო ჩემი საქმიანობა. ჩემს მეგობრებს ვეტყვი, რომ ისწავლონ და ბევრი იკითხონ. როდესაც სწავლობ უნივერსიტეტში და გაქვს სტუდენტის სტატუსი, ეს გარკვეულ უფლებებთან ერთად, მოვალეობებსაც გვანიჭებს. ჩვენ ხშირად მოვალეობები არ გვახსოვს. ჩვენი უმთავრესი მოვალეობა კი სწავლაა.

P.S. ქვემოთ ვბეჭდავთ ნაწყვეტს ანა არუთუნიანის კონკურსში გამარჯვებული ესსედან.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება-100

საქართველო, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების უმრავლესობა, გამოირჩევა მულტიეთნიკურობით. სხვადასხვა ერის წარმომადგენლები საქართველოში, წლების მანძილზე, ქართველებთან ერთად ცხოვრობენ, მაგალითად, სომხები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, თურქები და სხვა.

საქართველო არის ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითი, განსაკუთრებით კი – ახალციხე, რადგან რაბათში, რომელიც ითარგმნება, როგორც სავაჭრო ცენტრი, წლების მანძილზე, ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ებრაელები, სომხები, რუსები და სხვა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არ ყოფილა დიდი კონფლიქტი, თუ არ ჩავთვლით პატარა გაუგებრობებს. მაგალითად, სომხები, კერძოდ კი – ჩემი წინაპრები, გადარჩენის მიზნით, ახალციხეში გადმოსახლდნენ 1800-იან წლებში, მაშინდელი დასავლეთ სომხეთისა და ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიიდან, კონკრეტულად, ერზერუმის რაიონის სოფელ ჰუნცქიდან. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში მიმდინარე რეპრესიები, რის შემდეგაც, 1915 წელს, მოხდა სომხურ ისტორიაში ყველაზე მძიმე მოვლენა – გენოციდი. ამ გადმოსახლებას უხელმძღვანელა კარაპეტ ბაგრატუნიმ. მან ააშენა ტაძრები, სადაც თავად ატარებდა წირვას, სომხურენოვანი სკოლები, სადაც თავად ასწავლიდა. ზოგადად, ამ ადამიანმა ჩვენი ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ჩვენი მეობის შენარჩუნებისათვის უამრავი რამ გააკეთა. დღეს მისი ძეგლი დგას ახალქალაქის „სურბ ხაჩ“ ტაძრის ეზოში.

სომხები და არამხოლოდ სომხები, არამედ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები, მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობენ საქართველოში. როგორც უკვე აღვნიშნე, ნაკლებად არსებობდა მათ შორის კონფლიქტები. საზოგადოება ყოველთვის ებრძოდა და ებრძვის დისკრიმინაციას. რაც შეეხება დღევანდელობას, უფრო აქტიურად მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობების ადაპტირებისა და ინტეგრირების პროცესი და ამ პროცესში ჩართულია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორი. თუმცა, მიუხედავად ყოველივე ამისა, ულტრანაციონალისტური დამოკიდებულება, ქსენოფობიები და სტერეოტიპები მაინც არსებობს ჩვენს სოციუმში. ქსენოფობიები, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის ისტორიას ან კულტურას დაემუქრება საფრთხე და მივიწყებული იქნება სოციუმის მხრიდან. ვფიქრობ, ეს არის მცდარი აზრი, რადგან ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევინარჩუნოთ საკუთარი ისტორია და კულტურა და, ამავდროულად, შევისწავლოთ, მივიღოთ, პატივი ვცეთ სხვა ერების ისტორიასა და კულტურას. ჩვენი კულტურის დაცვა, რა თქმა უნდა, არის აუცილებელი, რადგან ეს მეტყველებს ჩვენს მეობაზე. სწორედ ეს გამოგვარჩევს სხვა ერების კულტურათაგან. ამავე დროს, აუცილებელია, პატივი ვცეთ სხვა ერების კულტურას, რისთვისაც სასურველია მათი შესწავლა. ეს ეხმარება ადამიანს, იყოს უფრო მეტად განვითარებული.

რაც შეეხება სტერეოტიპებს ანუ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ აზრებს. სამწუხაროდ, დღესდღეობითაც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ეთნიკური უმცირესობებისთვის არის შემაწუხებელი და, ზოგადად, როგორ შეიძლება ერთი ადამიანის მაგალითი განვავრცოთ მთელ ერზე, ერთი ადამიანის გამო. ყველა ადამიანი არის ინდივიდუალური და უნიკალური, შეუძლებელია რომელიმე ერის ყველა წარმომადგენელს ჰქონდეს ერთი და იგივე თვისება ან როგორ შეიძლება ამის დადგენა, როდესაც თითოეული ინდივიდის ფსიქოტიპის შესწავლა არის ურთულესი პროცესი?! სტერეოტიპები, მე პირადად, აბსურდად მიმაჩნია და ამის თავიდან აცილებისათვის უპირობოდ საჭირო და აუცილებელია სოციუმში ცნობიერების ამაღლება და მეტი განათლება.

ჩემი აზრით, ეთნიკური სიჭრელე – ეს არის მრავალფეროვნება, რომელიც სიმდიდრეა ნებისმიერი ქვეყნისათვის. საქართველოში ეთნიკური სიჭრელე სიმდიდრეს წარმოადგენს ჩვენთვის და ამით უნდა ვიამაყოთ. როგორც ანდაზა გვეუბნება – „არ არსებობს დიდი და პატარა ერები, არსებობენ დიდი და პატარა ადამიანები.“ მე ვიტყოდი, არ არსებობს ცუდი და კარგი ერები და არც ცუდი და კარგი ადამიანები. ადამიანებთან ან სხვა ნებისმიერ რამესთან მიმართებაში ცნებები – ცუდი და კარგი, არის პირობითი, მაგრამ, როდესაც საუბარია ერებზე, არ არსებობს დიდი და პატარა, ცუდი და კარგი, რამდენადაც თითოეული ერი შედგება განსხვავებული, გამორჩეული და განსაკუთრებული ინდივიდებისაგან.

და ბოლოს, ჩემი სტატია მინდა დავასრულო დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, სოკრატეს სიტყვებით. იგი ამობდა – „ნებისმიერ ადამიანში არის მზე. უბრალოდ, ჩვენ უნდა დავაცადოთ, რომ გამოანათოს და სამყარო გაათბოს“.

ანა არუთუნიანი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge